# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №99/ნ

## 2010 წლის 1 ოქტომბერი

*ქ. თბილისი*

## საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „ო" ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება დანართი №1 შესაბამისად.

2. დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასური დანართი №2 შესაბამისად.

2[1]. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის ბრძანება №77/ნ - ვებგვერდი, 08.05.2017წ.*

2[2]. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

2[3]. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების, სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის №1030 ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**დ. შაშკინი**

*დანართი №1*

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

## საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება

## თავი I

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს დებულება ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების (შემდგომში – სტანდარტები) დაკმაყოფილების პირობებს და ავტორიზაციის პროცედურას.

### მუხლი 2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანი და შინაარსი

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2. სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად.

3. (ამოღებულია - 29.12.2022, №145/ნ).

4. ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი). ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

5. ავტორიზაციის პროცესი უნდა იყოს სანდო, თანამიმდევრული და მისი შედეგები უნდა იყოს საჯარო.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 3. ავტორიზაციის საბჭოები**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისთვის იქმნება შემდეგი ავტორიზაციის საბჭოები:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თაობაზე;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თაობაზე.

**მუხლი 4. ავტორიზაციის პროცესი**

1. ავტორიზაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობა;

გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;

დ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ თვითშეფასების ფორმისა და თანდართული დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა და ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავება;

ე) საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება;

ვ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენა და ცენტრში წარდგენა;

ზ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის დაწესებულებისთვის გაცნობა;

თ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარდგენა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით;

ი) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ცენტრში წარდგენა;

კ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის დაწესებულებისთვის გაცნობა;

ლ) საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის გაგზავნა;

მ) ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;

ნ) დასაბუთებული გადაწყვეტილების ცენტრის მიერ გამოქვეყნება.

2. ავტორიზაციის შესახებ ან ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ავტორიზაციის პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომლის მართვისა და გამოყენების წესი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. საავტორიზაციო განაცხადის წარდგენამდე არანაკლებ 3 თვით ადრე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მსურველი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს ცენტრს ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებელი ვიზიტის განხორციელების თხოვნით. მოსამზადებელ ვიზიტს აქვს საკონსულტაციო ხასიათი და შეეხება:

ა) თვითშეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას;

ბ) საავტორიზაციო ვიზიტის დაგეგმვასა და განხორციელებას;

გ) ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების განმარტებას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კონსულტაციის გაწევაზე უფლებამოსილი ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების განსაზღვრისა და საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მსურველ დაწესებულებაში ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებელი ვიზიტის განხორციელების შესახებ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებელი ვიზიტის შედეგად დგება წერილობითი ოქმი, რომელშიც აისახება ინფორმაცია გაწეული კონსულტაციის შესახებ. დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებელი ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი ოქმის მომზადებას, ამასთან გამოყოს უფლებამოსილი პირი, რომელიც დაწესებულების სახელით ხელს მოაწერს ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებელი ვიზიტის ოქმს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

## თავი II

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია

### მუხლი 5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება:

ა) სკოლის ფილოსოფიას;

ბ) სასკოლო კურიკულუმს;

გ) სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას;

დ) მოსწავლეთა მხარდაჭერას.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თითოეული სტანდარტი შედგება კომპონენტებისაგან, კერძოდ:

ა) სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა.ა) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;

ა.ბ) სკოლის დაგეგმვა და განვითარება.

ბ) სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ბ.ა) კურიკულუმის შემუშავება;

ბ.ბ) კურიკულუმის განხორციელება;

ბ.გ) კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება;

ბ.დ) კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია.

გ) სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

გ.ა) პერსონალის მართვა;

გ.ბ) პერსონალის განვითარება;

გ.გ) პროცესების მართვა;

გ.დ) ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;

გ.ე) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;

გ.ვ) საინფორმაციო რესურსები;

გ.ზ) ფინანსური რესურსები.

დ) მოსწავლეთა მხარდაჭერასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

დ.ა) მოსწავლეთა უფლებების დაცვა;

დ.ბ) მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები დადგენილია ამ ბრძანების დანართ №5-ით.

4. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ცალ-ცალკე.

5. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს სასკოლო კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

მუხლი 6. (ამოღებულია)

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

მუხლი 7. (ამოღებულია)

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

მუხლი 8. (ამოღებულია)

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

მუხლი 9. საავტორიზაციო განაცხადი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საავტორიზაციო განაცხადს უნდა დაერთოს ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, ყოველი მომდევნო ავტორიზაციისას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის უწყვეტობის მიზნით ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას უნდა გაითვალისწინოს ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-11 მუხლით დადგენილი ვადები, იმგვარად, რომ ადმინისტრაციული წარმოებისთვის განსაზღვრული 180-კალენდარულდღიანი ვადა დაეთმოს ამ დებულებით გათვალისწინებული ავტორიზაციის პროცესის ეტაპების განხორციელებას. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

3. ავტორიზაციის მიზნებისთვის, დამოუკიდებელ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას წარმოადგენს:

ა) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

გ) ზოგად განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

დ) უცხოურ ენაზე განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ე) სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

მუხლი 10. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების მიზნები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების მიზნებია:

ა) ავტორიზაციის მისაღებად ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების მზაობის შეფასება;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების გამოყენების გზით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობა**

1. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საავტორიზაციო განაცხადის შესაბამისობას ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხოლო ამავე ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

4. ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ გამოიცემა განაცხადის წარმოდგენიდან ან ხარვეზის გამოსწორებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

5. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი მაძიებლად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის ავტორიზაციის საფასურს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 12. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი შედგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტებისგან.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 13. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტა ჯგუფის შექმნა**

1. ავტორიზაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

$1^1$. ზოგადსაგანმნთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრები.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, რომელშიც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში წარადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან ან/და წევრთან ინტერესთა კონფლიქტი.

6. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით და/ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

7. ცენტრი აცილების განცხადებას განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში. აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

8. ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იმავე შემადგენლობით აგრძელებს საქმიანობას.

9. ვიზიტის ხანგრძლივობა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის შესაბამისად.

10. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლინოს ცენტრის თანამშრომელი. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების შემთხვევაში, ცენტრის მიმართვის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს, ცენტრის თანამშრომლის ნაცვლად შესაძლებელია დაესწროს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) თანამშრომელი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 14. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო განაცხადის შესწავლა**

1. ცენტრი ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს უგზავნის ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ ცენტრის ინფორმირებიდან ან ამ დებულების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

2. ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე საავტორიზაციო განაცხადის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას.

3. საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლის საავტორიზაციო განაცხადს, რომლის საფუძველზეც

შეიმუშავებს ვიზიტის დღის წესრიგს და ათანხმებს მას ცენტრთან. ცენტრი ვიზიტის დღის წესრიგის შეთანხმების პროცესში ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებულ მოსაზრებებს. ცენტრი უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას დღის წესრიგის საბოლოო ვერსიას.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი საავტორიზაციო ვიზიტამდე მართავს ექსპერტთა მოსამზადებელ შეხვედრას, რომლის ფარგლებში დასკვნის შესადგენად ადგენს ვიზიტის ფარგლებში დამატებით შესასწავლ საკითხებს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 15. საავტორიზაციო ვიზიტი**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვიზიტის დროს უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას.

2. ზოგადსაგანმაანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში, უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას.

2$^{1}$. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივმა ექსპერტებმა ამ დებულების ამ თავით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განახორციელონ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების მიერ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ განსაზღვრული ფუნქციების ჯეროვანი შესრულება.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ვალდებულია საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები.

4. ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრში ერთჯერადად წარადგინოს ცვლილებები საავტორიზაციო განაცხადში ასახულ ინფორმაციასთან ან/და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. ამასთან, თუ ცვლილება ითვალისწინებს რომელიმე დოკუმენტის ჩანაცვლების აუცილებლობას, აღნიშნულ დოკუმენტთან ერთად დაწესებულებამ უნდა წარადგინოს ცვლილებების წერილობითი აღწერა/განმარტება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადსა და/ან მასზე თანდართულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მიიღება მხედველობაში, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის სამართლებრივ აქტ(ებ)ში განხორციელებული ცვლილება/ახალი სამართლებრივი აქტის მიღება იწვევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ცვლილების საჭიროებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული აუმჯობესებს დაწესებულების მდგომარეობას, ცენტრის მიერ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება დასრულდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მომენტისთვის მოქმედ რეგულაციებსა და დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

7. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, წარუდგინოს მათ ავტორიზაციის მიზნებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ პირებთან ინტერვიუირება.

8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ბოლო დღეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარუდგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ძირითად მიგნებებს.

9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

10. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული შეფასება კონკრეტულ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისაგან და დაწესებულება იზიარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მე-16 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინოს სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ან/და შესაბამისობის მტკიცებულებები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილია აღნიშნული გაითვალისწინოს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

## მუხლი 15[1]. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალით: „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”, „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა დადგენილია ამ ბრძანების დანართ №5-ის დანართით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

## მუხლი 15[2]. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტის შეფასების სკალის განმარტება

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები, დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა და მიღწეული შედეგები (ახალი დაწესებულების შემთხვევაში - მიღწევადი მოსალოდნელი შედეგები) სრულად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მიღწეული დონის შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას. ამასთან, შესაძლო მცირედი გამოწვევები გავლენას არ ახდენს დაწესებულების საქმიანობის ხარისხზე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”, თუ დაწესებულებას გააჩნია უფრო მეტი ძლიერი, ვიდრე სუსტი მხარე, რომელიც მნიშვნელოვნად არ აუარესებს დაწესებულების საქმიანობის ხარისხს. დაწესებულებაში არსებული რესურსები და დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა მეტწილად უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების

დაკმაყოფილებას და დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. დაწესებულებას, სუსტი მხარეების დასაძლევად, მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 12 თვისა), დასაძლევად აქვს მზაობა და რესურსებით უზრუნველყოფილი, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", თუ დაწესებულება მეტწილად ვერ აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს და მას აქვს ისეთი სუსტი მხარე(ებ)ი, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება, თუმცა დაწესებულებას აქვს მზაობა და განსაზღვრულ პერიოდში (არაუმეტეს 24 თვისა) სუსტი მხარეების დასაძლევად რესურსებით უზრუნველყოფილი სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", თუ დაწესებულების სუსტი მხარე(ებ)ი საფრთხეს უქმნის დაწესებულების საქმიანობის ხარისხს და ვერ უზრუნველყოფს მის განვითარებას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 16. დასკვნის მომზადება**

1. საავტორიზაციო განაცხადის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

2. დასკვნის პროექტი აღწერს დაწესებულების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან.

3. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 და ამ მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას.

4. საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანამნთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი, ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს. ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

7. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებას.

8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა და მისთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

**მუხლი 17. ზეპირი მოსმენა**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

1[1]. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ იმ დოკუმენტებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია წარმოების ფარგლებში და რომელიც გამოვლინდა ზეპირი მოსმენის მიმდინარეობისას. გარემოება, რომელიც არ იყო ასახული დოკუმენტაციაში ან არ გამოვლენილა ზეპირი მოსმენისას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს სამდივნო.

3. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია გადადოს ზეპირი მოსმენა ამ დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ - ერთი წევრი.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.

6. საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები მონაწილეობენ ზეპირ მოსმენაში, ხოლო ცენტრის წარმომადგენლები ან/და სხვა დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მონაწილეობა საკითხის განხილვაში სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.

8. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში სხვა პირის მოწვევა.

9. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

9[1]. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ იზიარებს დაწესებულების ან/და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რის საფუძველზეც შესაძლოა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ მიენიჭოს ან დაწესებულებას გაუუქმდეს ავტორიზაცია, საბჭო უფლებამოსილია გადადოს სხდომა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით და დაწესებულებისგან ან/და ექსპერტებისგან მოითხოვოს დამატებითი წერილობითი არგუმენტაციის წარმოდგენა.

10. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

11. ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ, გარდა ამ წესის მე-15 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

12. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 18. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა**

1. ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა უფლებამოსილება განისაზღვრება ორი წლის ვადით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ბრძანებით მტკიცდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა შერჩევის წესი. საბჭოს წევრებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (მიეცემათ ჰონორარი) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან. საბჭოს წევრის საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მონაწილეობდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი/პირები.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;

ე) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი და სააპელაციო საბჭოების საქმიანობის ეთიკის კოდექსით“ (შემდგომ – ეთიკის კოდექსი) დადგენილი მოთხოვნების და მე-19 და $19^1$ მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

ვ) სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

6. ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილების

ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №64/ნ - ვებგვერდი, 09.08.2021წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №159/ნ - ვებგვერდი, 29.12.2023წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 19. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის წესი და პრინციპები**

1. საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

2. საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად.

3. საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

4. საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება, თუ არა მათ პოზიციას.

4[1]. საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. საბჭოს წევრის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის საკითხი განიხილება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილ ეთიკის კომისიაზე.

5. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

5[1]. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

6. ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო, რომლის ფუნქციასაც ასრულებს ცენტრი. საბჭოს სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6[1]. საბჭოს სამდივნოს ფუნქციებია:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგისა და თარიღის შეთანხმება და აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული მხარეების სხდომაზე მოწვევის ორგანიზება;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრებისათვის განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მასალების მიწოდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მხარდაჭერა გადაწყვეტილებისა და ოქმის მომზადების პროცესში;

ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმების და ექსპერტთა

დასკვნების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვის მიზნით, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდება.

7. საბჭოს სამდივნო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე უგზავნის სხდომის დღის წესრიგს და არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო განაცხადს;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და არსებობის შემთხვევაში – ამ წესის მე-15 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

8. ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და მისი შესწავლის მიზნით საბჭო უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 19[1]. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრის ინტერესთა კონფლიქტი**

1. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. საბჭოს წევრი ასევე არ არის უფლებამოსილი, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის – დაწესებულების ან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

2. ინტერესთა კონფლიქტად ითვლება გარემოება, როდესაც საბჭოს წევრი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების დოკუმენტაციის შემუშავებაში;

ე) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების პროცესში;

ვ) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან ან იღებდა ანაზღაურებას სხვა სახის საქმიანობის ფარგლებში;

ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს

დაინტერესებულ მხარეს;

თ) მისი ოჯახის წევრი შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ი) არსებობს სხვა ნებისმიერი სახის პირადი ინტერესი ან/და გარემოება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს გავლენა საბჭოს წევრის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის, ახლო ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. ავტორიზაციის საბჭოს წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე და საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილების შესახებ. ამასთანავე, საბჭოს წევრი ვალდებულია ცენტრის მიერ საბჭოს სხდომაზე განსახილველი დოკუმენტაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში პროაქტიულად შეამოწმოს და აცნობოს ცენტრს, ხომ არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი საბჭოს სხდომაზე განსახილველ რომელიმე საკითხთან მიმართებით.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ავტორიზაციის საბჭოს წევრის აცილების საფუძველი და საბჭოს წევრს არ განუცხადებია თვითაცილება, უფლება აქვს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განუცხადოს მას აცილება. აცილების თაობაზე საკითხის განხილვის დაწყების შემდგომ განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყების შემდეგ. ამ შემთხვევაში აცილების თაობაზე საკითხის დაყენება დასაშვებია საბჭოს წევრების გადაწყვეტილების მისაღებად სათათბირო ოთახში გასვლამდე.

6. აცილების და თვითაცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

7. აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს ავტორიზაციის საბჭო ხმათა უმრავლესობით საბჭოს იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის აცილების/თვითაცილების საკითხიც განიხილება. აცილების თაობაზე საბჭომ შესაძლოა მოუსმინოს როგორც დაინტერესებულ მხარეს, რომელმაც განაცხადა აცილება, აგრეთვე საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც აცილების საკითხი იქნა დაყენებული.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 20. ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ;

დ) კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელების უფლების

ჩამორთმევის შესახებ;

ე) სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების/ავტორიზაციაზე უარის თქმის/სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გარემოების დადგომის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის თაობაზე შუამდგომლობით სამინისტროსთვის მიმართვის შესახებ.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, ამ დებულების მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვროს გონივრული ვადა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებს ფარული კენჭისყრით. ამასთან, უზრუნველყოფილია კენჭისყრის შედეგების საჯაროობა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს ცენტრს მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი წესით ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ, მიღებულად ითვლება გადაწყვეტილება ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას მისცეს რეკომენდაციები.

7. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ გაიზიარებს ექსპერტების შეფასებას, შეცვლის, დაამატებს ან ამოიღებს რეკომენდაციას, ვალდებულია მკაფიოდ და ნათლად, არგუმენტირებულად დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო დაწესებულებას ზეპირ მოსმენაზე უცხადებს გადაწყვეტილებას, მისი ძალაში შესვლისა და გასაჩივრების წესს. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი და ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 21. გადაწყვეტილება ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ**

1. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს.

1[1]. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თითოეული სტანდარტი, გარდა ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტისა, დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ ამ დებულების $15^1$ და $15^2$ მუხლებით დადგენილი წესით, ოთხდონიანი სკალის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი სულ მცირე ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“

1[2]. ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი, დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ ამ დებულების $15^1$ და $15^2$ მუხლებით დადგენილი წესით, ოთხდონიანი სკალის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი სულ მცირე ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“

2. ავტორიზაციის ვადა 9 წელია.

2[1]. ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო თითოეული კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს რეკომენდაციებს და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

2[2]. ამ მუხლის $2^1$ პუნქტით გათვალისწინებულ ცენტრის ინფორმირების ფორმას განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.“

3. ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას ავტორიზაციის ვადის განმავლობაში.

4. ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება დგება იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ:

ა) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და/ან ,,დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეფასდება, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ყველა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდება როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ ან „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ შეფასებას მიიღებს ცალკეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ მიეცემა/ჩამოერთმევა აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება.

გ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ყველა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდება როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ შეფასებას მიიღებს ცალკეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ მიეცემა/ჩამოერთმევა აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების/ავტორიზაციაზე უარის თქმის/სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გარემოების დადგომის შემთხვევაში სამინისტროსათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სამინისტროს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა არსებულ რეჟიმში აგრძელებს ფუნქციონირებას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №98/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024წ.*

## მუხლი 22. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სამართლებრივი შედეგი

ავტორიზაციის შედეგად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს მიიღოს მოსწავლეები კანონმდებლობით დადგენილი წესით და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

## მუხლი 23. ავტორიზაციაზე უარის თქმისა ან ავტორიზაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგები

1. ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ვერ მოიპოვებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, ხოლო ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსწავლემ უნდა ისარგებლოს მობილობის უფლებით ან მას შეუჩერდება მოსწავლის სტატუსი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იურიდიული პირი უფლებამოსილია ცენტრში საავტორიზაციო განაცხადი წარადგინოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 16 ივნისის ბრძანება №64/ნ - ვებგვერდი, 17.06.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

## მუხლი 24. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც მიუერთდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით, ხოლო თუ ეს ვადა ერთ წელზე ნაკლებია, ერთი წლის ვადით. მიერთების შედეგად ჩამოყალიბებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის რაოდენობა შეადგენს რეორგანიზაციამდე არსებული რაოდენობების ჯამს, რაც აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლისგანაც გამოიყოფა სხვა დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად ავტორიზაციის დარჩენილი ვადით. იგი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყოფის პროცესის დასრულებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნულის თაობაზე მიაწოდოს ცენტრს ინფორმაცია. აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ექვემდებარება მონიტორინგს, თუ ავტორიზაციის დარჩენილი ვადა 6 თვეს აღემატება.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაერთიანების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაყოფის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

## მუხლი 25. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების განხორციელება

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, განახორციელოს ყოველწლიური თვითშეფასება.

2. თვითშეფასების ფორმასა და განხორციელების წესს განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

3. სკოლის მიერ თვითშეფასების დადგენილი წესით განუხორციელებლობა ან განხორციელებული თვითშეფასების შესწავლის შედეგები შესაძლოა გახდეს ცენტრის მიერ მონიტორინგის განხორციელების საფუძველი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 25[1]. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წესი**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატების მიზნით წარდგენილი განაცხადით დაიმატოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

2. ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია განაცხადთან ერთად ცენტრში წარადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ. ამავე აქტით განისაზღვრება პროგრამის დამატების ადმინისტრაციული წარმოებისას შემოწმების ფარგლები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის შედეგად დგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

5. ცენტრი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 და მე-16 მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული შეფასება კონკრეტულ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისაგან და დაწესებულება იზიარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინოს სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის

შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

9. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან/კომპონენტთან მიმართებით მიიღებს ამ დებულების 21-ე მუხლის $1^1$ და/ან $1^2$ პუნქტებით გათვალისწინებულ შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამატების შესახებ.

10. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს რეკომენდაციებს და ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

11. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

12. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

13. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მოქმედებს ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11-მე-17 მუხლებით დადგენილი პირობები, ამ მუხლის თავისებურებების გათვალისწინებით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი $25^2$. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წესი**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება განაცხადით მიმართავს ცენტრს.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების თაობაზე ცენტრში წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია განაცხადთან ერთად ცენტრში წარადგინოს საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ. ამავე აქტით განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების ადმინისტრაციული წარმოებისას შემოწმების ფარგლები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის შედეგად დგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

5. ცენტრი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 და მე-16 მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული შეფასება კონკრეტულ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისაგან და დაწესებულება იზიარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინოს სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

9. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სტანდარტთან/კომპონენტთან მიმართებით მიიღებს ამ დებულების 21-ე მუხლის $1^1$ და/ან $1^2$ პუნქტებით გათვალისწინებულ შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს გადაწყვეტილებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით.

10. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს რეკომენდაციებს და ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაწესებულება შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების ან ცვლილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

12. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მოქმედებს ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 – მე-17 მუხლებით დადგენილი პირობები, ამ მუხლის თავისებურებების გათვალისწინებით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 26. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, საკონტაქტო ინფორმაციის (ტელეფონი, ელ.ფოსტა, სკოლის ვებგვერდი) ცვლილების, ასევე მის მიერ არასავალდებულო ხასიათის მომსახურების (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) დამატების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ცენტრს მიაწოდოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან/ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა და წარუდგინოს ცვლილების/არასავალდებულო ხასიათის მომსახურების კანონიერად განხორციელების მტკიცებულებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

**მუხლი 27. ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულება მოწმდება გეგმური და/ან არაგეგმური მონიტორინგის გზით, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით. გეგმური მონიტორინგი ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით. არაგეგმური მონიტორინგი ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გეგმური მონიტორინგის წლიური გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია აქტის გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი. ცენტრში წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ. განაცხადთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წარადგენს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ცენტრისათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უთითებს მონიტორინგის განხორციელების პერიოდს, მონიტორინგის განხორციელების ფორმას და მონიტორინგის ფარგლებს. ამ დებულების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით, 21-ე მუხლის $2^1$ პუნქტით, $25^1$ მუხლის მე-10 პუნქტით და $25^2$ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/პროგრამა შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მონიტორინგის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან. ხოლო, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ მონიტორინგის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან.

$4^1$. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია მონიტორინგის ფორმად განსაზღვროს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და/ან ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა და/ან ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა.

$4^2$. ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის ფორმით მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დადასტურების მიზნით მიმართოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

$4^3$. ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგი წარედგინება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს. ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, ცენტრს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და/ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების თაობაზე.

5. მონიტორინგის გზით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების ფარგლები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ცენტრი წერილობით მიმართავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე საფასურის გადახდის მოთხოვნის თაობაზე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კორესპონდენციის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრში უნდა წარმოადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ვადაში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტ(ებ)თან შესაბამისობის დადასტურების შეუძლებლობის გამო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ შესაფასებელი საკითხები სტანდარტ(ებ)თან მიმართებით შესაძლებელია შეფასდეს როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რაც წარმოადგენს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

8. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისგან და/ან ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და/ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის

ვიზიტის შესახებ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს ექსპერტთა აცილების უფლებით. აცილების უფლების გამოყენება არ აბრკოლებს ვიზიტის განხორციელებას.

9. ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით გამოთხოვილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე, როდესაც არ არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და/ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების აუცილებლობა ან ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინოს სათანადო დოკუმენტაცია. ამ შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია ცენტრს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების თაობაზე.

10. ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისგან/ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და/ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის შესახებ.

11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დაწყებისას, ან ვიზიტის დაწყებამდე არაუმეტეს 3 სამუშაო დღით ადრე.

12. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის დროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ითანამშრომლებს ექსპერტებთან ან/და არ მისცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას, შესაფასებელი სტანდარტი შეფასდება როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

13. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარუდგენს ცენტრს.

14. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით, ასევე $25^1$ მუხლის პირველი პუნქტისა და $25^2$ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების დროს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნული სტანდარტიდან გამომდინარე გამოავლენს გარემოებას, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს ბოლო ადმინისტრაციული წარმოებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების გაუარესებაზე, სხვა სტანდარტებთან მიმართებით, ვალდებულია გამოვლენილი გარემოება ასახოს დასკვნაში. აღნიშნულ შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეუსაბამობის დადგენა წარმოადგენს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

15. ცენტრი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 და მე-16 მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

16. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული შეფასება კონკრეტულ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისაგან და დაწესებულება იზიარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინოს სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

18. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეუსაბამობის დადგენა წარმოადგენს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

19. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო არ მიიღებს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, თითოეული კომპონენტის/სტანდარტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს რეკომენდაციებს და ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრული ყველა სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

20. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-19 პუნქტით, ამ დებულების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით, 21-ე მუხლის $2^1$ პუნქტით, $25^1$ მუხლის მე-10 პუნქტით და $25^2$ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შეუსრულებლობის ფაქტის დადგენა ან ამ მუხლის 21-ე პუნქტით განსაზღვრული გარემოების არარსებობა, წარმოადგენს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

21. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტით, ამ დებულების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით, 21-ე მუხლის $2^1$ პუნქტით, $25^1$ მუხლის მე-10 პუნქტით და $25^2$ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ იმ კომპონენტების, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, საერთო რაოდენობის არანაკლებ 50%-ის შეფასება გაუმჯობესდა, მაგრამ აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ განხორციელდა სტანდარტის შეფასების დონის ცვლილება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად და/ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

22. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტით, ამ დებულების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით, 21-ე მუხლის $2^1$ პუნქტით, $25^1$ მუხლის მე-10 პუნქტით და $25^2$ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ იმ კომპონენტებიდან, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ერთ-ერთის შეფასება მაინც გაუმჯობესდა, მაგრამ აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ განხორციელდა სტანდარტის შეფასების დონის ცვლილება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი

რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად.

23. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტით, ამ დებულების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით, 21-ე მუხლის $2^1$ პუნქტით, $25^1$-ე მუხლის მე-10 პუნქტით და $25^2$-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ კომპონენტების შეფასების დონემ განიცადა ცვლილება და ნაცვლად ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

24. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით და აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებეულების ავტორიზაციის საბჭო იღებს ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.

25. იმ შემთხვევაში თუ, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მონიტორინგის ფარგლებში განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილია, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

26. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლის 21-ე-23-ე პუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში უფლებამოსილია, მიიღოს ანგარიში ცნობად ან მიმართოს ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

27. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლის 21-ე-23-ე პუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს მონიტორინგის განხორციელების საფუძველი.

28. მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრება 90 კალენდარული დღით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის გამოცემიდან.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 28. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი საფუძვლები**

1. მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში ან მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება:

ა) ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ავტორიზაციის ვადით;

ბ) მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში – ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე მოსწავლეთა მიღება განახორციელოს მხოლოდ ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობის ფარგლებში,

გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, რაოდენობის გაზრდა გამოწვეულია:

ა) სტატუსშეჩერებული მოსწავლის სტატუსის აღდგენით;

ბ) სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით, სამინისტროს დასაბუთებული გადაწყვეტილებით;

გ) მოსწავლეთა მობილობით, სამინისტროს თანხმობის საფუძველზე;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებით.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო განაცხადისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განხილვის შედეგად და დაინტერესებული პირების მოსაზრებების გათვალისწინებით, სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია დაეთანხმოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნას ან შეამციროს მის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები მოსწავლეების ადგილების რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მიღების გამოცხადების დროისთვის ამ ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულების აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობა და მიღებულ სხვაობას ემატება ამ დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო წელს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების რაოდენობა, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შესაბამისად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 29. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდა**

1. მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველია დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობა.

$1^1$. დაწესებულება განაცხადთან ერთად წარადგენს მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

2. მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ცენტრისათვის წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების ზღვრული

რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

5. ცენტრი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 და მე-16 მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული შეფასება კონკრეტულ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისაგან და დაწესებულება იზიარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინოს სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

9. მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ დებულების 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

10. (ამოღებულია - 29.12.2022, №145/ნ).

11. მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის ან მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე წერილობითი განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

12. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობების გაზრდა ხდება ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

13. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მოქმედებს ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით, მე-11 - მე-17 მუხლებით დადგენილი პირობები, ამ მუხლის თავისებურებების გათვალისწინებით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

### მუხლი 30. (ამოღებულია)

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

## თავი III

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია

### მუხლი 31. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება:

ა) კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ განვითარებას;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) პროფესიულ სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს;

დ) ადამიანურ რესურსებს;

ე) მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თითოეული სტანდარტი შედგება კომპონენტებისაგან, კერძოდ:

ა) კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა.ა.) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია;

ა.ბ.) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ბ.ა.) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება;

ბ.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი;

ბ.გ.) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება;

ბ.დ.) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება;

გ) პროფესიულ სტუდენტებთან და მათ მხარდაჭერის ღონისძიებებთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

გ.ა) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა;

გ.ბ.) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები.

დ) ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

დ.ა.) პერსონალის და პროცესების მართვა;

დ.ბ.) პერსონალის განვითარება.

ე) მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ე.ა.) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;

ე.ბ.) საინფორმაციო რესურსები;

ე.გ.) ფინანსური რესურსები.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები დადგენილია ამ ბრძანების დანართი №4-ით.

**მუხლი 32. საავტორიზაციო განაცხადი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადს უნდა დაერთოს:

ა) ავტორიზაციის მაძიებლის მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმა;

ბ) საავტორიზაციო განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) დამატებითი დანართები, რომლითაც დაწესებულება ადასტურებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებისა და შესაბამისი კომპონენტების შესრულებას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ყოველი მომდევნო ავტორიზაციისას, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის უწყვეტობის მიზნით, ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას უნდა გაითვალისწინოს ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და 34-ე მუხლით დადგენილი ვადები.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 33. ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება**

1. თვითშეფასების მიზანია ავტორიზაციის მისაღებად მაძიებლის მზაობის შეფასება.

2. თვითშეფასება ხდება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

3. თვითშეფასების შედეგები აისახება თვითშეფასების ფორმაში.

4. თვითშეფასების ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

**მუხლი 34. ავტორიზაციის მაძიებლად ცნობა**

1. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ დებულების 32-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. თუ განმცხადებელი ცენტრს არ წარუდგენს ამ დებულების 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტს, ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხოლო ამავე ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

4. ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ გამოიცემა განაცხადის წარმოდგენიდან ან ხარვეზის გამოსწორებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

5. თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი მაძიებლად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის ავტორიზაციის საფასურს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**მუხლი 35. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი შედგება პროფესიული განათლების სფეროში გამოცდილების მქონე სპეციალისტებისა და დარგის იმ სპეციალისტებისგან, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დასაქმების სფეროებში მუშაობის გამოცდილება.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

**მუხლი 36. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა**

1. ავტორიზაციის საფასურის გადახდიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

2. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრები.

3. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება, ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანებით ცალ-ცალკე იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი.

4. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შედგება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტ(ებ)ისაგან, ამასთან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში შედის ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტიც.

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

6. ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, რომელშიც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

7. ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში წარადგინოს ავტორიზაციის ჯგუფის წევრის აცილება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური

ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

8. დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს ავტორიზაციის ჯგუფის წევრის აცილება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ან/და წევრის ინტერესთა კონფლიქტი.

9. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით და/ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

10. ცენტრი აცილების განცხადებას განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში. აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

11. ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იმავე შემადგენლობით აგრძელებს საქმიანობას.

12. ვიზიტის ხანგრძლივობა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლინოს ცენტრის თანამშრომელი.

**მუხლი 37. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლა**

1. ცენტრი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს უგზავნის ამ დებულების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ჯგუფის წევრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ ცენტრის ინფორმირებიდან ან ამ დებულების 36-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას ექსპერტთა ჯგუფის წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით.

3. საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებს ვიზიტის დღის წესრიგს და ათანხმებს მას ცენტრთან. ცენტრი ვიზიტის დღის წესრიგის შეთანხმების პროცესში ითვალისწინებს დაწესებულების არგუმენტირებულ მოსაზრებებს. ცენტრი უგზავნის დაწესებულებას დღის წესრიგის საბოლოო ვერსიას.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 38. საავტორიზაციო ვიზიტი**

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვიზიტის დროს უზრუნველყოფს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში, უზრუნველყოფს ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას.

3. ავტორიზაციის ექსპერტი წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ვალდებულია საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები.

4. დაწესებულება უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, ცენტრში ერთჯერადად წარადგინოს ცვლილებები თვითშეფასების ფორმაში ასახულ ინფორმაციასთან ან/და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით არაუგვიანეს ამ დებულების 36-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 5 კალენდარული დღისა. ამასთან, თუ ცვლილება ითვალისწინებს რომელიმე დოკუმენტის ჩანაცვლების აუცილებლობას, აღნიშნულ დოკუმენტთან ერთად დაწესებულებამ უნდა წარადგინოს ცვლილებების წერილობითი აღწერა/განმარტება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დაუშვებელია თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის ცვლილება.

5. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის სამართლებრივ აქტ(ებ)ში განხორციელებული ცვლილება/ახალი სამართლებრივი აქტის მიღება იწვევს დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ცვლილების საჭიროებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული აუმჯობესებს დაწესებულების მდგომარეობას, ცენტრის მიერ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება დასრულდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მომენტისთვის მოქმედ რეგულაციებსა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

6. დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, წარუდგინოს მათ ავტორიზაციის მიზნებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ პირებთან ინტერვიუირება.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ბოლო დღეს ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას წარუდგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ძირითად მიგნებებს.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის დაწესებულების მიერ მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

9. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადსა და/ან მასზე თანდართულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მიიღება მხედველობაში.

**მუხლი 39. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალის საშუალებით: „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდართან მიმართებით ფასდება ცალ-ცალკე. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა მაინც შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”. აღნიშნულ შემთხვევაში დაწესებულებას ეძლევა მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელების უფლება.

3. ამ დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა-ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტანდარტის თითოეული კომპონენტის შეფასების დროს ოთხდონიანი სკალა გამოხატულია ქულებში შემდეგი

პრინციპის დაცვით: „შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“ – 3 ქულა, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან” – 2 ქულა, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“ - 1 ქულა და „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“ – 0 ქულა.

4. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა.ა-ა.ბ” ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 3 ქულა.

5. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა -ბ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 3 ქულა, ხოლო ,,ბ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა.

6. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ.ა“ და ,,დ.ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 3 ქულა, ხოლო ,,გ.ბ“ და ,,დ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა.

7. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა, ხოლო ,,ე.ბ“ და ,,ე.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 3 ქულა.

8. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნტის ,,ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 3 ქულა, ხოლო ,,ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა.

9. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 3 ქულა, ხოლო ,,ბ.ბ-ბ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა.

10. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ.ა-გ.ბ“ და ,,დ.ა-დ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა.

11. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე.ა-ე.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა.

12. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა, ხოლო ,,ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 1 ქულა.

13. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ და ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა, ხოლო ,,ბ.გ“ და ,,ბ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 1 ქულა.

14. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს მიენიჭება არანაკლებ 2 ქულა, ხოლო ,,გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს არანაკლებ 1 ქულა.

15. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ.ა“ და ,,დ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 1 ქულა.

16. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე.ა“ და “ე.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კომპონენტებს მიენიჭება არანაკლებ 1 ქულა, ხოლო ,,ე.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კომპონენტს არანაკლებ 2 ქულა.

17. ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი შეფასდება როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუკი ერთ-ერთ კომპონენტს მაინც მიენიჭება 0 ქულა.

18. სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების დონე არ შეიცვლება ამ დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპონენტებისთვის ამ მუხლის მე-4-მე-16 პუნქტებით განსაზღვრულზე მეტი ქულის მინიჭებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპონენტებისთვის მეტი ქულის მინიჭება იწვევს სტანდარტის შეფასების დონის ცვლილებას.

19. იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტის კომპონენტს მიენიჭება ამ მუხლის მე-4-მე-16 პუნქტებით განსაზღვრულზე ნაკლები ქულა სტანდარტი შეფასდება, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**მუხლი 40. სტანდარტის კომპონენტის შეფასების სკალა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები, დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა და მიღწეული შედეგები (ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – მიღწევადი მოსალოდნელი შედეგები) სრულად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები და დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა მეტწილად უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, დაწესებულებას აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 6 თვისა) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულება მეტწილად ვერ უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მას აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება. თუმცა, დაწესებულებას აქვს მზაობა და განსაზღვრულ პერიოდში (არაუმეტეს 18 თვისა) სუსტი მხარეების დასაძლევად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულება არსებული რესურსებითა ან/და პრაქტიკით ვერ უზრუნველყოფს მინიმუმ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დონეზე სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

**მუხლი 41. დასკვნის მომზადება**

1. თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და

საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

2. დასკვნის პროექტი აღწერს დაწესებულების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან.

3. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 35-ე მუხლის მე-3 და ამ მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას.

4. საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა და მისთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

**მუხლი 42. ზეპირი მოსმენა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

1[1]. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ იმ დოკუმენტებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია წარმოების ფარგლებში და რომელიც გამოვლინდა ზეპირი მოსმენის მიმდინარეობისას. გარემოება, რომელიც არ იყო ასახული დოკუმენტაციაში ან არ გამოვლენილა ზეპირი მოსმენისას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს სამდივნო.

3. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში. საბჭო უფლებამოსილია გადადოს ზეპირი მოსმენა ამ დებულების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული 180 დღიანი ვადის გათვალისწინებით.

4. სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის

ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.

6. საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები მონაწილეობენ ზეპირ მოსმენაში, ხოლო ცენტრის წარმომადგენლები ან/და სხვა დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მონაწილეობა საკითხის განხილვაში სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.

8. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში სხვა პირის მოწვევა.

9. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

9[1]. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ იზიარებს დაწესებულების ან/და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რის საფუძველზეც შესაძლოა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ მიენიჭოს ან დაწესებულებას გაუუქმდეს ავტორიზაცია, საბჭო უფლებამოსილია გადადოს სხდომა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით და დაწესებულებისგან ან/და ექსპერტთა ჯგუფისგან მოითხოვოს დამატებითი წერილობითი არგუმენტაციის წარმოდგენა.

10. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

11. ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ.

12. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 43. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა**

1. საბჭოს წევრთა უფლებამოსილება განისაზღვრება ორი წლის ვადით.

2. საბჭოს წევრებს სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. მინისტრის ბრძანებით მტკიცდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა შერჩევის წესი. საბჭოს წევრებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (მიეცემათ ჰონორარი) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან. საბჭოს წევრის საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი/პირები.

5. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;

ე) ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების და 44-ე და $44^1$ მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

ვ) სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

6. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №64/ნ - ვებგვერდი, 09.08.2021წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №159/ნ - ვებგვერდი, 29.12.2023წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 44. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის წესი და პრინციპები**

1. საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

2. საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად.

3. საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

4. საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ პოზიციას.

$4^1$. საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. საბჭოს წევრის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის საკითხი განიხილება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილ ეთიკის კომისიაზე.

5. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

6. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო, რომლის ფუნქციასაც ასრულებს ცენტრი. სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. საბჭოს სამდივნოს ფუნქციებია:

ა) საბჭოს სხდომის დღის წესრიგისა და თარიღის შეთანხმება, საბჭოს სხდომის ანონსის გამოქვეყნება;

ბ) საბჭოს წევრების, ექსპერტების, დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული მხარეების სხდომაზე მოწვევის ორგანიზება;

გ) საბჭოს წევრებისათვის განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მასალების მიწოდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;

დ) საბჭოს მხარდაჭერა გადაწყვეტილებისა და ოქმის მომზადების პროცესში;

ე) საბჭოს სხდომის ოქმების და ექსპერტთა დასკვნების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ვ) საბჭოს გადაწყვეტილებების პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვის მიზნით, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდება.

8. სამდივნო საბჭოს წევრებს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე უგზავნის სხდომის დღის წესრიგს და არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას;

ბ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას;

გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის/საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

9. ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და მისი შესწავლის მიზნით საბჭო უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 44[1]. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრის ინტერესთა კონფლიქტი**

1. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. საბჭოს წევრი ასევე არ არის უფლებამოსილი, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის – დაწესებულების ან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

2. ინტერესთა კონფლიქტად ითვლება გარემოება, როდესაც საბჭოს წევრი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებაში.

ე) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების პროცესში;

ვ) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან ან იღებდა ანაზღაურებას სხვა სახის საქმიანობის ფარგლებში;

ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

თ) მისი ოჯახის წევრი შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ი) არსებობს სხვა ნებისმიერი სახის პირადი ინტერესი ან/და გარემოება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს გავლენა საბჭოს წევრის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის, ახლო ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. ავტორიზაციის საბჭოს წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე და საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილების შესახებ. ამასთანავე, საბჭოს წევრი ვალდებულია ცენტრის მიერ საბჭოს სხდომაზე განსახილველი დოკუმენტაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში პროაქტიულად შეამოწმოს და აცნობოს ცენტრს ხომ არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი საბჭოს სხდომაზე განსახილველ რომელიმე საკითხთან მიმართებით.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ავტორიზაციის საბჭოს წევრის აცილების საფუძველი და საბჭოს წევრს არ განუცხადებია თვითაცილება, უფლება აქვს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განუცხადოს მას აცილება. აცილების თაობაზე საკითხის განხილვის დაწყების შემდგომ განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყების შემდეგ. ამ შემთხვევაში აცილების თაობაზე საკითხის დაყენება დასაშვებია საბჭოს წევრების გადაწყვეტილების მისაღებად სათათბირო ოთახში გასვლამდე.

6. აცილების და თვითაცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

7. აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს ავტორიზაციის საბჭო ხმათა უმრავლესობით საბჭოს იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის აცილების/თვითაცილების საკითხიც განიხილება. აცილების თაობაზე საბჭომ შესაძლოა მოუსმინოს როგორც დაინტერესებულ მხარეს, რომელმაც განაცხადა აცილება, აგრეთვე საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც აცილების საკითხი იქნა დაყენებული.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 45. ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები**

1. საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

2. საბჭო უფლებამოსილია ამ დებულების 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვროს გონივრული ვადა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საბჭო შუამდომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

4. საბჭო ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი წესით ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, მიღებულად ითვლება გადაწყვეტილება ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ ¾-ით.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას მისცეს რეკომენდაციები.

7. საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

8. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ გაიზიარებს ექსპერტების შეფასებას, შეცვლის, დაამატებს ან ამოიღებს რეკომენდაციას, ვალდებულია მკაფიოდ და ნათლად, არგუმენტირებულად დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

9. საბჭო დაწესებულებას ზეპირ მოსმენაზე უცხადებს გადაწყვეტილებას, მისი ძალაში შესვლისა და გასაჩივრების წესს. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება საბჭოს სხდომის ოქმი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

11. საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 46. გადაწყვეტილება ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ**

1. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს.

2. თითოეული სტანდარტი, გარდა ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტისა, დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ ამ დებულების 39-ე და მე-40 მუხლებით დადგენილი წესით, ოთხდონიანი სკალის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროგრამა ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

4. ავტორიზაციის ვადა 6 წელია.

5. ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭო თითოეული კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს რეკომენდაციებს და ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ყველა სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

6. ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭო დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში განუსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, ავტორიზაციის ვადის განმავლობაში.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას, ავტორიზაციის საბჭო პროგრამაზე ადგილების რაოდენობას ანაწილებს:

ა) განხორციელების ადგილის მიხედვით;

ბ) განხორციელების ფორმის მიხედვით.

8. ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზაციის საბჭოს მიერ ერთ - ერთ სტანდარტთან მიმართებით მაძიებელი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან “.

**მუხლი 47. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სამართლებრივი შედეგი**

ავტორიზაციის შედეგად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს მიიღოს პროფესიული სტუდენტები კანონმდებლობით დადგენილი წესით და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მუხლი 48. ავტორიზაციაზე უარის თქმისა ან ავტორიზაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგები**

1. ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მაძიებელი ვერ მოიპოვებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, ხოლო ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პროფესიულ სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტატუსი და უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული პირი უფლებამოსილია ცენტრში საავტორიზაციო განაცხადი წარადგინოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

**მუხლი 49. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შერწყმის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ითვლება ავტორიზებულად 6 თვის ვადით.

2. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა თითოეული პროგრამისთვის შეადგენს ამ პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობების ჯამს.

3. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გაყოფის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი დაწესებულებები ვალდებულნი არიან გაიარონ ავტორიზაცია.

**მუხლი 50. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების განხორციელება**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს ყოველწლიური თვითშეფასება.

2. თვითშეფასების ფორმასა და განხორციელების წესს განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით თვითშეფასების განუხორციელებლობა ან განხორციელებული თვითშეფასების შესწავლის შედეგები შესაძლოა გახდეს ცენტრის მიერ მონიტორინგის განხორციელების საფუძველი.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 51. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარდგენილი განაცხადით დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

2. ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია განაცხადთან ერთად ცენტრში წარადგინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარდგენილი განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს. იმ შემთხვევაში, თუ ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების დროს ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნული სტანდარტიდან გამომდინარე გამოავლენს მეტწილ/ნაწილობრივ შესაბამისობას ან შეუსაბამობას ავტორიზაციის სხვა სტანდარტებთან მიმართებით, ვალდებულია გამოვლენილი გარემოება ასახოს დასკვნაში.

5. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 35-ე მუხლის მე-3 და 41-ე მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მსურველი დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის საბჭოს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

9. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ავტორიზაციის საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, გათვალისწინებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი წესით ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, მიღებულად ითვლება გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ.

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭო თითოეული კომპონენტის/სტანდარტის შეფასების გათვალისწინებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს რეკომენდაციებს და ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

11. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში, თუ საბჭო დაადგენს შეუსაბამობას ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდართან მიმართებით იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მოქმედებს ამ დებულების 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 34-ე-42-ე მუხლებით დადგენილი პირობები, ამ მუხლის თავისებურებების გათვალისწინებით.

14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას, ავტორიზაციის საბჭო პროგრამაზე ადგილების რაოდენობას ანაწილებს:

ა) განხორციელების ადგილის მიხედვით;

ბ)  განხორციელების ფორმის მიხედვით.

**მუხლი 52. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შემთხვევაში განაცხადით მიმართავს ცენტრს.

2. ცენტრში წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია განაცხადთან ერთად ცენტრში წარადგინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ. ადმინისტრაციული

წარმოების ვადა განისაზღვრება 90 დღით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

5. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 35-ე მუხლის მე-3 და 41-ე მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

6. დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის შესაბამის საბჭოს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მოქმედებს ამ დებულების 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 34-ე-42-ე მუხლებით დადგენილი პირობები, ამ მუხლის თავისებურებების გათვალისწინებით.

10. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

**მუხლი 53. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

3. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4. ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების

შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით.

5. ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

**მუხლი 54. ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება ცენტრის ინიციატივით, გეგმური და/ან არაგეგმური მონიტორინგის, საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით, ან საბჭოს შუამდგომლობით მონიტორინგის გზით.

2. დაწესებულებს ინიციატივით ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი. ცენტრში წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება განაცხადთან ერთად წარადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ცენტრისათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, საბჭო განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების პერიოდს, მონიტორინგის განხორციელების ფორმას ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ასევე მონიტორინგის ფარგლებს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდის დაწყებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი წერილობით მიმართავს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხისა და საბჭოს შუამდგომლობით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე საფასურის გადახდის მოთხოვნის თაობაზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კორესპონდენციის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრში უნდა წარმოადგინოს საბჭოს შუამდგომლობით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ვადაში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტ(ებ)თან შესაბამისობის დადასტურების შეუძლებლობის გამო, საბჭოს მიერ შესაფასებელი საკითხები სტანდარტ(ებ)თან მიმართებით შესაძლებელია შეფასდეს როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და ცენტრის შუამდგომლობით საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

7. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, დაწესებულებისგან და/ან სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებიდან (უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და/ან დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ისარგებლოს ექსპერტთა აცილების უფლებით. აცილების გამოყენების უფლება არ აბრკოლებს ვიზიტის განხორციელებას.

8. ცენტრის მიერ დაწესებულებისგან/განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებიდან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის შექმნისა და/ან დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის შესახებ.

9. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარუდგენს ცენტრს.

10. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 35-ე მუხლის მე-3 და 41-ე მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

11. დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის საბჭოს.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

13. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის შესახებ დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ ან არაუმეტეს მონიტორინგის ვიზიტამდე 1 დღით ადრე.

14. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საბჭოს მიერ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

15. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თითოეული კომპონენტის/სტანდარტის შეფასების გათვალისწინებით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს რეკომენდაციებს და ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა-ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

16. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-15 პუნქტით, ამ დებულების 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 51-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად საბჭო დაადგენს, რომ მის მიერ გაცემული არცერთი რეკომენდაცია არ შესრულდა, ან არ დადგინდა ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული გარემოება, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

17. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-15 პუნქტით, ამ დებულების 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 51-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ იმ კომპონენტების, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, საერთო რაოდენობის არანაკლებ 50%-ის შეფასება გაუმჯობესდა, მაგრამ აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ განხორციელდა სტანდარტის შეფასების დონის ცვლილება, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად და/ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

18. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული გარემოების გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფს იმ სტანდარტების შეფასების დონის გაუმჯობესებას, რომელთან მიმართებითაც მიეცა რეკომენდაცია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

19. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-15 პუნქტით, ამ დებულების 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 51-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ იმ კომპონენტებიდან, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, ერთ-ერთის შეფასება მაინც გაუმჯობესდა, მაგრამ აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ განხორციელდა სტანდარტის შეფასების დონის ცვლილება, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად.

20. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-15 პუნქტით, ამ დებულების 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 51-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ კომპონენტების შეფასების დონემ განიცადა ცვლილება და ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

21. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ, უმაღლეს ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ამ დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით და აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ამ პროგრამის განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ.

22. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ, თუ ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდება, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

23. მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრება 90 კალენდარული დღით.

24. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის დროს დაწესებულება არ ითანამშრომლებს ექსპერტებთან ან/და არ მისცემს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას, შესაფასებელი სტანდარტი შეფასდება როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

25. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში უფლებამოსილია, მიიღოს ანგარიში ცნობად ან მიმართოს ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

26. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ანგარიშის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს მონიტორინგის განხორციელების საფუძველი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №130/ნ - ვებგვერდი, 14.12.2022 წ.*

**მუხლი 55. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი საფუძვლები**

1. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობა.

2. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება:

ა) ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ავტორიზაციის ვადით;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემთხვევაში - ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს მხოლოდ ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამისთვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობის ფარგლებში, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს ერთობლივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ეთვლება მისთვის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. საბჭო განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებების გათვალისწინებით, სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. საბჭო უფლებამოსილია დაეთანხმოს საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნას ან შეამციროს მის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

**მუხლი 56. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდა**

1. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობა.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება განაცხადთან ერთად წარადგენს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

3. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ცენტრისათვის წარსადგენი წერილობითი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და

დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

6. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 35-ე მუხლის მე-3 და 41-ე მუხლის მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

7. დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის შესაბამის საბჭოს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

9. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

10. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ დებულების 55-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

11. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში მიეთითება ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლისთვის განსაზღვრული ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაც სურს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

12. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის ან ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე წერილობითი განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

13. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას, ავტორიზაციის საბჭო პროგრამაზე ადგილების რაოდენობას ანაწილებს:

ა) განხორციელების ადგილის (დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი) მიხედვით;

ბ) განხორციელების ფორმის მიხედვით.

14. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების გაზრდა ხდება ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

15. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მოქმედებს ამ დებულების 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 34-ე-42-ე მუხლებით დადგენილი პირობები, ამ მუხლის თავისებურებების გათვალისწინებით.

**მუხლი 57. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭოს მიერ შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, პროფესიულ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება პროგრამაზე მიღების გამოცხადების დროისთვის ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებულ სხვაობას ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შესაბამისად.

3. სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ასევე, იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას ახორციელებენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების გზით, მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, აქტიური სტატუსის მქონე და დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობების დათვლის თარიღები განისაზღვრება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

### მუხლი 58. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის თავისებურება

ამ დებულების 52-ე მუხლით, 54-ე, 56-ე და 62-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებების შემთხვევაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განისაზღვრება იმ სტანდარტების ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნდა განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება და დასკვნის მომზადება.

### მუხლი 59. ცენტრის ინიციატივით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შეცვლა

ცენტრის ინიციატივით დაწესებულების შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს დაწესებულების შესაბამისი პირობების შემოწმების საფუძველზე, ამ თავის შესაბამისად.

### მუხლი 60. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე განახორციელოს მხოლოდ საბაზო და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე განახორციელოს ნებისმიერი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

### მუხლი 61. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პირობა

1. ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ამ დებულების მე-60 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ამ თავით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2. ამ დებულების მე-60 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სურვილის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ცენტრში წარადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმას, მასზე დასართავ დოკუმენტაციას და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების უფლების მოპოვებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო ამ თავით განსაზღვრული წესით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ამ დებულების მე-60 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო ამ დებულების მე-60 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს მიერ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ. ამ დებულების მე-60 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება საგანმანათლებლო დაწესებულებას ენიჭება ავტორიზაციის ვადით.

**მუხლი 62. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

1. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების მიზნით დაწესებულებამ უნდა მიმართოს ცენტრს. ამ პროგრამის დამატება ხორციელდება ამ დებულების 51-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ მუხლით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას სურს განახორციელოს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მან პროგრამასთან ერთად, ცენტრში უნდა წარადგინოს ორი სასწავლო გეგმა, რომელთაგან ერთი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას მასში ინტეგრირებული ზოგადი მოდულების გათვალისწინებით, ხოლო მეორე კი - მის გარეშე.

3. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სურს აღნიშნული პროგრამა განახორციელოს ინტეგრირებული ზოგადი მოდულების გათვალისწინებით, ცენტრს უნდა მიმართოს განაცხადით, რომლის ფორმაც მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ. დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ შემთხვევებში, საბჭოს მიერ პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ზღვრული რაოდენობა ნაწილდება სასწავლო გეგმების (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს/სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს) მიხედვით .

5. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი, პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გაზარდოს ან შეამციროს სასწავლო გეგმების მიხედვით განსაზღვრული ჩასარიცხ პირთა რაოდენობა, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.

6. დაწესებულება უფლებამოსილია, გაზარდოს ჩასარიცხ პირთა რაოდენობა პროგრამის იმ სასწავლო გეგმის ფარგლებში, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. აღნიშნულ შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია, გაზრდილი რაოდენობის პროპორციულად შეამციროს ჩასარიცხ პირთა რაოდენობა პროგრამის იმ სასწავლო გეგმის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს.

## თავი IV

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია

**მუხლი 63. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას;

გ) საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს;

ე) სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს;

ვ) კვლევას, განვითარებას ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობას;

ზ) მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თითოეული სტანდარტი შედგება კომპონენტებისაგან, კერძოდ :

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა.ა) უსდ-ის მისია;

ა.ბ) სტრატეგიული განვითარება.

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ბ.ა) ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა;

ბ.ბ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

ბ.გ) ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა.

გ) საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

გ.ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება;

გ.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი;

გ.გ) სწავლის შედეგების შეფასება.

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

დ.ა) პერსონალის მართვა;

დ.ბ) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა.

ე) სტუდენტებსა და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ე.ა) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა

უფლებები;

ე.ბ) სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

ვ) კვლევასთან, განვითარებასთან ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ვ.ა) კვლევითი საქმიანობა;

ვ.ბ) კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია;

ვ.გ) კვლევითი საქმიანობის შეფასება.

ზ) მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ზ.ა) მატერიალური რესურსი;

ზ.ბ) საბიბლიოთეკო რესურსები;

ზ.გ) საინფორმაციო რესურსი;

ზ.დ) ფინანსური რესურსი.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები დადგენილია ამ ბრძანების დანართი №3-ით.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგი" და ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნები.

**მუხლი 64. საავტორიზაციო განაცხადი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადს უნდა დაერთოს:

ა) სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმა და მასზე დასართავი დოკუმენტაცია;

ბ) ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

$1^1$. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $49^1$ მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საავტორიზაციო განაცხადში მითითების შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ცენტრთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი და შეთანხმებული პროექტის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

2. ცენტრში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით ან მატერიალური სახით, რა დროსაც თვითშეფასების შევსებულ ფორმაზე დასართავი დოკუმენტაცია ცენტრს წარედგინება ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის მეშვეობით.

3. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ყოველი მომდევნო ავტორიზაციისას,

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის უწყვეტობის მიზნით ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას უნდა გაითვალისწინოს ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და 66-ე მუხლით დადგენილი ვადები.

4. საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული იმ დოკუმენტების ინგლისურ ენაზე თარგმნას, რომელთა ინგლისურ ენაზე არსებობის მოთხოვნის შესახებ დათქმა მითითებულია თვითშეფასების დამტკიცებულ ფორმაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მთარგმნელობითი მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, ცენტრი თარგმანს უგზავნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია აცნობოს ცენტრს თარგმანთან დაკავშირებული მოტივირებული შენიშვნები, ამ დოკუმენტაციის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია შენიშვნა თარგმანთან დაკავშირებით.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უფლებამოსილია, ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას ან განაცხადის წარდგენის შემდგომ, ცენტრთან წერილობით შეთანხმებულ ვადაში, თავად წარადგინოს ცენტრში ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ინგლისურენოვანი თარგმანი, რა დროსაც არ გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი რეგულაციები.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თარგმანის სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თუ ავტორიზაციის პროცესში გამოიკვეთა თარგმანთან დაკავშირებული ხარვეზი, რომელიც გავლენას ახდენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენაზე, ცენტრი უფლებამოსილია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. სხვა შემთხვევაში დოკუმენტების ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტებს შორის განსხვავებისას, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 65. ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება**

1. თვითშეფასების მიზანია ავტორიზაციის მისაღებად დაწესებულების მზაობის შეფასება.

2. თვითშეფასება ხდება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

3. თვითშეფასების შედეგები აისახება თვითშეფასების ფორმაში.

4. თვითშეფასების ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

**მუხლი 66. ავტორიზაციის მაძიებლად ცნობა**

1. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ დებულების 64-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. თუ განმცხადებელი ცენტრს არ წარუდგენს ამ დებულების 64-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტს, ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი

გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხოლო ამავე ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

4. ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ გამოიცემა განაცხადის წარმოდგენიდან, ან ხარვეზის გამოსწორებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

4[1]. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრში ერთჯერადად წარადგინოს ცვლილებები თვითშეფასების ფორმაში ასახულ ინფორმაციასთან ან/და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. თუ ცვლილება ითვალისწინებს რომელიმე დოკუმენტის ჩანაცვლების აუცილებლობას, აღნიშნულ დოკუმენტთან ერთად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარადგინოს ცვლილებების წერილობითი აღწერა/განმარტება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დაუშვებელია თვითშეფასების ფორმასა და თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის ცვლილება.

4[2]. ამ მუხლის 4[1] პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ თვითშეფასების ფორმასა და თანდართულ დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილება მხედველობაში არ მიიღება.

5. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი მაძიებლად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის ავტორიზაციის საფასურს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 67. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ გამოცდილების ფართო სპექტრის მქონე ექსპერტები დაწესებულების სტატუსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

**მუხლი 68. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა**

1. ავტორიზაციის საფასურის გადახდიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის ფორმირებისას მხედველობაში მიიღება ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნები; ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და სტუდენტი, საერთაშორისო ექსპერტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი

კვალიფიკაციის მქონე პირები.

3. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო განაცხადში მითითებულია რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შედის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტი.

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

5. ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, რომელშიც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

6. ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში წარადგინოს ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ან/და წევრის ინტერესთა კონფლიქტი.

8. ამ დებულების მიზნებისთვის ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით და/ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

9. ცენტრი აცილების განცხადებას განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში. აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

10. ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იმავე შემადგენლობით აგრძელებს საქმიანობას.

11. ვიზიტის ხანგრძლივობა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის შესაბამისად.

12. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლენს ცენტრის თანამშრომელს.

**მუხლი 69. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლა**

1. ცენტრი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს უგზავნის ამ დებულების 64-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას ამ დებულების 68-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ამ დებულების 64-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - 30 კალენდარული დღის ვადაში.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას ექსპერტთა ჯგუფის წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით.

3. საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც

შეიმუშავებს ვიზიტის დღის წესრიგს და ათანხმებს მას ცენტრთან. ცენტრი ვიზიტის დღის წესრიგის შეთანხმების პროცესში ითვალისწინებს დაწესებულების არგუმენტირებულ მოსაზრებებს. ცენტრი უგზავნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დღის წესრიგის საბოლოო ვერსიას.

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი საავტორიზაციო ვიზიტამდე გამართული მოსამზადებელი შეხვედრის ფარგლებში დასკვნის შესადგენად ადგენს ვიზიტის ფარგლებში დამატებით შესასწავლ საკითხებს.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 70. საავტორიზაციო ვიზიტი**

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვიზიტის დროს უზრუნველყოფს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში, უზრუნველყოფს ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას.

3. ავტორიზაციის ექსპერტი წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ვალდებულია საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები.

4. (ამოღებულია - 16.03.2021, №19/ნ).

5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ავტორიზაციის ექსპერტებს საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, წარუდგინოს მათ ავტორიზაციის მიზნებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ პირებთან ინტერვიუირება.

6. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს საავტორიზაციო ვიზიტის განმავლობაში საჭირო მთარგმნელობითი მომსახურების გაწევას.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ბოლო დღეს ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას წარუდგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ძირითად მიგნებებს.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის დაწესებულების მიერ მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

9. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ასევე განხორციელდეს ნახევრად დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

10. ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელებული შეფასების წესი და პირობები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 71. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალის საშუალებით: „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, თუ დაწესებულება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ორ შემთხვევაში, კერძოდ, თუ:

ა) დაწესებულება ამ სტანდარტის ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“;

ბ) დაწესებულება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან (გარდა ამ დებულების 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტ(ებ)ის კომპონენტებისა) მიმართებით შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან”, თუ დაწესებულება ამ სტანდარტის ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტი არ გამოიყენება ამ დებულების 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან მიმართებით, რა დროსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან”, თუ დაწესებულება ამ სტანდარტების ერთ-ერთ კომპონენტთან მიმართებით მაინც შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**მუხლი 72. ოთხდონიანი შეფასების სკალის განმარტება**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები, დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა და მიღწეული შედეგები (ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – მიღწევადი მოსალოდნელი შედეგები) სრულად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები და დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა მეტწილად უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, დაწესებულებას აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 1 წელი) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულება საბაზო დონეზე უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მას აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების

მობილიზება. თუმცა, დაწესებულებას აქვს მზაობა და საშუალოვადიან პერიოდში (1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 3 წელი) სუსტი მხარეების დასაძლევად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულება არსებული რესურსებითა ან/და პრაქტიკით ვერ უზრუნველყოფს მინიმუმ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დონეზე სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

**მუხლი 73. დასკვნის მომზადება**

1. თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

2. დასკვნის პროექტი აღწერს დაწესებულების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან.

3. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 67-ე მუხლის მე-3 და ამ მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას.

4. საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

6[1]. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტისა და დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისათვის საჭირო მთარგმნელობითი მომსახურების გაწევას. აღნიშნული დოკუმენტების ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

9. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა და მისთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 74. ზეპირი მოსმენა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

1[1]. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ იმ დოკუმენტებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია წარმოების ფარგლებში და რომელიც გამოვლინდა ზეპირი მოსმენის მიმდინარეობისას. გარემოება, რომელიც არ იყო ასახული დოკუმენტაციაში ან არ გამოვლენილა ზეპირი მოსმენისას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს სამდივნო.

3. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში.

4. სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში - დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების მონაწილეობის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ასევე ესწრება საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.

6. საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები მონაწილეობენ ზეპირ მოსმენაში, ხოლო ცენტრის წარმომადგენლები ან/და სხვა დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მონაწილეობა საკითხის განხილვაში სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.

8. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში სხვა პირის მოწვევა.

9. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

9[1]. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ იზიარებს დაწესებულების ან/და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რის საფუძველზეც შესაძლოა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ მიენიჭოს, ხოლო დაწესებულებას გაუუქმდეს ავტორიზაცია ან შეეზღუდოს სტუდენტთა მიღების უფლება, საბჭო უფლებამოსილია გადადოს სხდომა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით და დაწესებულებისგან ან/და ექსპერტებისგან მოითხოვოს დამატებითი წერილობითი არგუმენტაციის წარმოდგენა.

10. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

11. ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ.

12. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №137/ნ - ვებგვერდი, 27.08.2024წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 75. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით. საბჭოს წევრებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (მიეცემათ ჰონორარი) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან. საბჭოს წევრის საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საბჭოს წევრებს მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო შედგება მუდმივი წევრებისა და მოწვეული წევრებისაგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობაში მოწვეული წევრები მონაწილეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებს აქვთ ხმის უფლება.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების კანდიდატურათა შერჩევისას მხედველობაში მიიღება საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნები და კრიტერიუმები.

4. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული არაუმეტეს 2 პირი.

5. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;

ე) ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების და 76-ე და $76^1$ მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

ვ) ცენტრის შუამდგომლობის გათვალისწინებით/საკუთარი ინიციატივით სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

6. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი,*

*16.03.2021 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №64/ნ - ვებგვერდი, 09.08.2021წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 76. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის წესი და პრინციპები**

1. საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

2. საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად.

3. საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

4. საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ პოზიციას.

4[1]. საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. საბჭოს წევრის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის საკითხი განიხილება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილ ეთიკის კომისიაზე.

5. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

5[1]. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

5[2]. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

6. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო, რომლის ფუნქციასაც ასრულებს ცენტრი. სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. სამდივნო საბჭოს წევრებს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე უგზავნის სხდომის დღის წესრიგს და არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას;

ბ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას;

გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

8. ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და მისი შესწავლის მიზნით საბჭო უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

1

მუხლი 76 . უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრის ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. საბჭოს წევრი ასევე არ არის უფლებამოსილი, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის – დაწესებულების ან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

2. ინტერესთა კონფლიქტად ითვლება გარემოება, როდესაც საბჭოს წევრი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების დოკუმენტაციის შემუშავებაში;

ე) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების პროცესში;

ვ) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან ან იღებდა ანაზღაურებას სხვა სახის საქმიანობის ფარგლებში;

ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

თ) მისი ოჯახის წევრი შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ი) არსებობს სხვა ნებისმიერი სახის პირადი ინტერესი ან/და გარემოება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს გავლენა საბჭოს წევრის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის, ახლო ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. ავტორიზაციის საბჭოს წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე და საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილების შესახებ. ამასთანავე, საბჭოს წევრი ვალდებულია ცენტრის მიერ საბჭოს სხდომაზე განსახილველი დოკუმენტაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში პროაქტიულად შეამოწმოს და აცნობოს ცენტრს ხომ არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი საბჭოს სხდომაზე განსახილველ რომელიმე საკითხთან მიმართებით.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ავტორიზაციის საბჭოს წევრის აცილების საფუძველი და საბჭოს წევრს არ განუცხადებია თვითაცილება, უფლება აქვს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განუცხადოს მას აცილება.

6. აცილების და თვითაცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

7. აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს ავტორიზაციის საბჭო ხმათა უმრავლესობით საბჭოს იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის აცილების/თვითაცილების საკითხიც განიხილება. აცილების თაობაზე საბჭომ შესაძლოა მოუსმინოს როგორც დაინტერესებულ მხარეს, რომელმაც განაცხადა აცილება, აგრეთვე საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც აცილების საკითხი იქნა დაყენებული.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 77.  ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები**

1.  საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების პროცესის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ.

3.  საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების მონაწილეობის შემთხვევაში, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით, საიდანაც მოწვეულ წევრთა ხმები უნდა შეადგენდეს დამსწრე მოწვეულ წევრთა არანაკლებ 3/4-ს.

3[1]. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ამასთან, საბჭოს სხდომის ოქმით უზრუნველყოფილია კენჭისყრის შედეგების საჯაროობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას მისცეს რეკომენდაციები.

5.  საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

6. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ გაიზიარებს ექსპერტების შეფასებას, შეცვლის, დაამატებს ან ამოიღებს რეკომენდაციას, ვალდებულია მკაფიოდ და ნათლად, არგუმენტირებულად დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

7. გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე. გადაწყვეტილებასთან ერთად ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება საბჭოს სხდომის ოქმი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

8. საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში განსაზღვროს ამ მუხლის პირველი  პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ნოემბრის ბრძანება №193/ნ - ვებგვერდი, 20.11.2024 წ.*

**მუხლი 78. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში**

1. უნივერსიტეტი, რომელსაც სურს ავტორიზაციის დარჩენილი ვადით საქმიანობა განაგრძოს სასწავლო უნივერსიტეტის ან კოლეჯის სტატუსით და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სახესთან – სასწავლო უნივერსიტეტთან/კოლეჯთან, თავსებად საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, უფლებამოსილია ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს.

2. სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც სურს ავტორიზაციის დარჩენილი ვადით საქმიანობა განაგრძოს კოლეჯის სტატუსით და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სახესთან – კოლეჯთან, თავსებად საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, უფლებამოსილია ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლის თაობაზე დადებით/უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის/სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ამ დებულების 77-ე მუხლით დადგენილი წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მისი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეცვლილ სახესთან.

**მუხლი 79. გადაწყვეტილება ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ**

1. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს.

2. თითოეული სტანდარტი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ ამ დებულების 71-ე და 72-ე მუხლებით დადგენილი წესით, ოთხდონიანი სკალის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. ავტორიზაციის ვადა 6 წელია.

4. ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას ავტორიზაციის ვადის განმავლობაში.

5. თუ საბჭოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას:

ა) ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და ყველა სხვა სტანდარტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ერთზე მეტ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და ყველა სხვა სტანდარტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ (გარდა ამ დებულების 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტ(ებ)ისა) ამ დებულების 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

გ) ერთზე მეტ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ (გარდა ამ დებულების 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტ(ებ)ისა) ამ დებულების 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება , როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (2 წლის ვადაში) შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

დ) ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც„ ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ამ დებულების 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სხვა არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და მისთვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ;

ე) ამ დებულების 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტ(ებ)თან მიმართებით შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ამ დებულების 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და მისთვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ.

6. (ამოღებულია - 16.03.2021, №19/ნ)

7. საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მონიტორინგის შედეგად, თუ ერთ - ერთ სტანდარტთან მიმართებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კვლავ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა ) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ.

8. ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს მიერ ერთ-ერთი სტანდარტთან მიმართებით დაწესებულება შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 79[1]. გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ**

1. საბჭოს მიერ 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ანგარიშის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ანგარიშის წარდგენის ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან.

2. საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისობას ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

4. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცენტრს არ წარუდგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამის ანგარიშს ან მასზე დასართავ დოკუმენტაციას, ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშის შესწავლის მიზნით ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის თაობაზე.

6. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

9. ანგარიშის, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნას.

10. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის ფორმალურ შესაბამისობას ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ ფორმასთან. საჭიროების შემთხვევაში, ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნა.

12. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნა წარედგინება საბჭოს და, ასევე, გასაცნობად შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

13. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა განიხილება საბჭოს სხდომაზე. საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს ანგარიში ცნობად ან მიმართოს ცენტრს ავტორიზაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 90 კალენდარული დღის ვადაში.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 80. გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ**

1. საბჭო უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) პროცესის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების ერთჯერზე არანაკლებ 1 წლისა და არაუმეტეს 3 წლის ვადით შეზღუდვის შესახებ, ამ დებულების 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით, ასევე იმავე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შემთხვევებში.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც ამ მუხლის შესაბამისად შეეზღუდა სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლება, ამ შეზღუდვის ძალაში შესვლიდან 4 თვის გასვლის შემდგომ უფლებამოსილია ცენტრში წარადგინოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსწორების შესახებ ანგარიში, რომლის საფუძველზეც ცენტრი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახორციელებს მონიტორინგს.

3. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეზღუდვისთვის განსაზღვრული ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 4 თვით ადრე არ წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსწორების შესახებ ანგარიშს, ცენტრი საკუთარი ინიციატივით ახორციელებს მონიტორინგს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მონიტორინგის შედეგად, შესაძლებელია საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მოეხსნას სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების შეზღუდვა;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ძალაში დარჩეს სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელახლა შეეზღუდოს სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლება;

დ) გაუქმდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

### მუხლი 81. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სამართლებრივი შედეგი

ავტორიზაციის შედეგად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს მიიღოს სტუდენტები კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ დებულების მე-80 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

### მუხლი 82. ავტორიზაციის თავისებურებები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - უნივერსიტეტის სტატუსის მაძიებელი ვალდებულია ავტორიზაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში ცენტრში წარადგინოს საავრედიტაციო განაცხადი მინიმუმ ერთი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი ამ ვადაში არ წარადგენს ცენტრში საავრედიტაციო განაცხადს, ან ვერ მიიღებს აკრედიტაციას ვერცერთ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, საბჭო ცენტრის ინიციატივით

განიხილავს აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების საკითხს, ან ამ დებულების 78-ე მუხლით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, განიხილავს ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის საკითხს. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობა ცენტრში წარადგინოს ამ პუნქტით საავკრედიტაციო განაცხადის წარდგენისათვის განსაზღვრული 6-თვიანი ვადის გასვლიდან ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება უნივერსიტეტზე, რომელიც ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას.

2. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მაძიებელს საავტორიზაციო განაცხადში მითითებული აქვს, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში განახორციელებს მხოლოდ იმ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, იგი ვალდებულია ავტორიზაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში ცენტრში წარადგინოს საავკრედიტაციო განაცხადი მინიმუმ ერთი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტი ამ ვადაში არ წარადგენს ცენტრში საავკრედიტაციო განაცხადს, ან ვერ მიიღებს აკრედიტაციას მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, საბჭო ცენტრის ინიციატივით განიხილავს აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების საკითხს, ან ამ დებულების 78-ე მუხლით დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, განიხილავს ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის საკითხს. ამ შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობა ცენტრში წარადგინოს ამ პუნქტით საავკრედიტაციო განაცხადის წარდგენისათვის განსაზღვრული 6-თვიანი ვადის გასვლიდან, ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტზე, რომელიც ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენისას ახორციელებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას.

3. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებელს საავტორიზაციო განაცხადში მითითებული აქვს, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში განახორციელებს მხოლოდ იმ ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, იგი ვალდებულია ავტორიზაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში ცენტრში წარადგინოს საავკრედიტაციო განაცხადი მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ ვადაში არ წარადგენს ცენტრში საავკრედიტაციო განაცხადს ან ვერ მიიღებს აკრედიტაციას ვერცერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საბჭო ცენტრის ინიციატივით განიხილავს აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების საკითხს. ეს წესი არ ვრცელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, რომელიც ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენისას ახორციელებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე პროგრამას.

**მუხლი 83. ავტორიზაციაზე უარის თქმისა და ავტორიზაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგები**

ავტორიზაციაზე უარის თქმისა და ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ მოიპოვებს/კარგავს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს;

ბ) სტუდენტებს უფლება აქვთ, გადავიდნენ სხვა შესაბამის დაწესებულებაში;

გ) სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტატუსი და უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

**მუხლი 84. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგები**

1. ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შერწყმის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულება ითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით. თუ ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლა ემთხვევა რეორგანიზაციის პერიოდს, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულების სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს რეორგანიზაციამდე არსებული რაოდენობების ჯამს.

2. ავტორიზებული დაწესებულების გაყოფის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი დაწესებულებები ვალდებულნი არიან გაიარონ ავტორიზაცია. ამასთან, რეორგანიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამონაცვლედ განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელსაც სურს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვება, ვალდებულია დაფუძნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს ცენტრში საავტორიზაციო განაცხადი, რა შემთხვევაშიც იგი ჩაითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის დარჩენილი ვადით, მაგრამ არაუმეტეს 6 თვისა.

**მუხლი 85. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისა და შეფასების წესი**

1. ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

2. თვითშეფასების ანგარიში შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით ან მატერიალური სახით, რა დროსაც თვითშეფასების ანგარიში და მასზე დასართავი დოკუმენტაცია ცენტრს წარედგინება ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის მეშვეობით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა არ არის სავალდებულო შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის:

ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც ავტორიზაცია მიენიჭა ამ დებულების 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე;

ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც მიენიჭა ავტორიზაცია და რომელზეც საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ამ დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე განხორციელდა ავტორიზაციის პირობების შემოწმება;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც ავტორიზაცია მიენიჭა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის №77/ნ ბრძანებით გათვალისწინებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების“ ძალაში შესვლამდე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე;

დ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელზეც ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის პერიოდში, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება საავტორიზაციო განაცხადთან დაკავშირებით.

4. თვითშეფასების ანგარიშის ფორმას ამტკიცებს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

5. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისობას ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

6. თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის მიზნით, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და თვითშეფასების ანგარიშის შეფასების თაობაზე.

7. თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის მიზნით შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წევრები, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს რეგულირებად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

9. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ცენტრი უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

10. თვითშეფასების ანგარიშის, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნის პროექტს.

11. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 67-ე მუხლის მე-3 და ამ მუხლის მე-19 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

12. საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

13. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

15. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

16. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უგზავნის ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

17. ამ მუხლით გათვალისწინებული თვითშეფასების ანგარიშის შეფასების შედეგები ცენტრის მიერ გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების

დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით.

18. ამ მუხლით გათვალისწინებული თვითშეფასების ანგარიშის დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ამ დებულების 88-ე მუხლის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმებას.

19. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა და მისთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

### მუხლი 86. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარდგენილი განაცხადით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა.

2. ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

3. საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და შესაბამის რესურსებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე. განაცხადს უნდა ერთოდეს, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და სილაბუსები.

4. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

5. საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარდგენილი განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

6. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 67-ე მუხლის მე-3 და 73-ე მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

7. საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მსურველი დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის საბჭოს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

9. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

10. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

11. საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 87. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, რა დროსაც დაწესებულება ვალდებულია შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთო რაოდენობის ცვლილებამ მიაღწია 20%-ს, დაწესებულება ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ.

3. საგანმანათლებლო პროგრამის, გარდა აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისა, სწავლის შედეგების ცვლილების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი.

4. ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების, ასევე ამავე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია ამ დებულების 88-ე მუხლის შესაბამისად განახორციელოს ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 88. ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმური და/ან არაგეგმური მონიტორინგის გზით.

2. გეგმური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით.

3. გეგმური მონიტორინგის გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შერჩევის კრიტერიუმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გეგმური მონიტორინგის წლიური გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებას

5. არაგეგმური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული საჩივარი შესაძლოა ცენტრში წარმოდგენილი იქნეს იმ დაინტერესებული პირის (სტუდენტი, აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო ან/და ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა) მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ ირღვევა ამ დებულებით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები. ამასთან, საჩივრის ფორმა, საჩივრის შედგენისა და განხილვის მეთოდოლოგია მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმური ან/და არაგეგმური მონიტორინგის განხორციელებისას ცენტრი უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და/ან დაწესებულებაში გეგმური და/ან არაგეგმური მონიტორინგის ვიზიტის შესახებ.

8. ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გეგმური ან/და არაგეგმური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭო წყვეტს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

9. გეგმური და/ან არაგეგმური მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წევრები, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს რეგულირებად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

10. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

11. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარედგინება ვიზიტის/შეფასების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე.

12. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში არაგეგმური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის/შეფასების პროცესის დაწყებისას, ან ვიზიტის/შეფასების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე.

13. ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების თვითაცილების ან/და აცილების საკითხები რეგულირდება ამ დებულების 68-ე მუხლის მე-5-მე-10 პუნქტების შესაბამისად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აცილების გამოყენების უფლება არ აბრკოლებს ვიზიტის განხორციელებას.

14. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

15. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 67-ე მუხლის მე-3 და 73-ე მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

16. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის საბჭოს.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

18. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

19. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

20. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით დაწესებულება შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან დაწესებულება არღვევს საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით.

21. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

22. ამ მუხლის 21-ე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

23. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად, ამ დებულების 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით, ასევე იმავე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შემთხვევებში, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ამ დებულების მე-80 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

24. ამ მუხლის 21-ე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზების 50%-ზე მეტი ნაწილის გამოსწორების შემთხვევაში და იმ პირობით, რომ არცერთი სტანდარტი არ ფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო უფლებამოსილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვროს ვადა დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის წარმოდგენისა და განხილვის წესი განისაზღვრება ამ დებულების $79^1$ მუხლის შესაბამისად.

25. იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

26. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ცენტრისათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, საბჭო განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების პერიოდს, მონიტორინგის განხორციელების ფორმას და მონიტორინგის ფარგლებს.

27. საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის დინება შეჩერებულად ითვლება ავტორიზაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 89. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი საფუძვლები**

1. სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას ამ წესის შესაბამისად განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო.

2. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება:

ა) ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ავტორიზაციის ვადით;

ბ) სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში – ავტორიზაციის დარჩენილი ვადით;

3. ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სტუდენტთა მიღება საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4. ავტორიზაციის საბჭოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა მოიცავს მასწავლებლის მომზადებისა და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობებსაც.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით ჩარიცხვისას სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბების კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

**მუხლი 90. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა**

1. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში ან სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობა.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადში მითითებული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა უნდა ეფუძნებოდეს დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკასა და დაწესებულების რესურსებს.

3. საბჭო განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებების გათვალისწინებით სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. საბჭო უფლებამოსილია დაეთანხმოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნას ან შეამციროს მის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ადგილების რაოდენობა. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

**მუხლი 91. სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ცენტრს წარუდგინოს სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ წერილობითი განაცხადი.

2. ცენტრისათვის წარსადგენი სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ წერილობითი განაცხადის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს.

5. ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას ამ დებულების 67-ე მუხლის მე-3 და 73-ე მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი ეგზავნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის საბჭოს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

8. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

9. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ დებულების 90-ე მუხლის მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

10. საბჭო უფლებამოსილია სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში მხედველობაში მიიღოს დაწესებულების ის ფართი, რომელშიც ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ასევე სხვა მატერიალური რესურსის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ სტუდენტთა ჩარიცხვის მომენტისთვის არ იარსებებს შესაბამისი გარემოებები, ამ გარემოებების გათვალისწინებით გამოტანილი გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი ამ დებულების 89-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

11. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის ან სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრში სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე წერილობითი განაცხადის წარდგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

**მუხლი 92. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის წესი**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

2. შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა, მასწავლებლის მომზადებისა და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შესაბამისად სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ შეესაბამება ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილ ადგილების რაოდენობას, ცენტრი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №130/ნ - ვებგვერდი, 14.12.2022 წ.*

**მუხლი 93. ცენტრის ინიციატივით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა რაოდენობის შეცვლა**

ცენტრის ინიციატივით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს დაწესებულების შესაბამისი პირობების შემოწმების საფუძველზე, ამ დებულების შესაბამისად.

**მუხლი 94. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ დებულების III თავით.

## თავი V

## სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი

**მუხლი 95. სააპელაციო საბჭოს შემადგენლობა**

1. ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტით, 45-ე მუხლის პირველი პუნქტით ან 77-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ავტორიზაციის მაძიებელმა/საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო საბჭოში.

2. სააპელაციო საბჭოს წევრებს სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით. სააპელაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე, ავტორიზაციის საბჭოს წევრი ან აკრედიტაციის საბჭოს წევრი.

3. სააპელაციო საბჭოს წევრებს საქმიანობა აუნაზღაურდებათ (მიეცემათ ჰონორარი) ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან. სააპელაციო საბჭოს საქმიანობის ანაზღაურების (ჰონორარის გაცემის) წესი და ოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სააპელაციო საბჭო ფუნქციურად დამოუკიდებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო ორგანოებისგან.

5. სააპელაციო საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

დ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;

ე) ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების და 96-ე და 96[1] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულების იმ სტრუქტურულ ერთეულში საქმიანობის შემთხვევაში, რომელიც სისტემატურად ახორციელებს ხარისხის მართვის უზრუნველყოფას;

ზ) ცენტრის შუამდგომლობის გათვალისწინებით/საკუთარი ინიციატივით სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

6. სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 96. სააპელაციო საბჭოს საქმიანობის წესი**

1. სააპელაციო საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

2. სააპელაციო საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად.

3. სააპელაციო საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

4. სააპელაციო საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, ავტორიზაციის საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს სხვა წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ პოზიციას.

4[1]. საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. საბჭოს წევრის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის საკითხი განიხილება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილ ეთიკის კომისიაზე.

5. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

5[1]. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

5[2]. (ამოღებულია - 28.11.2025, №134/ნ).

6. სააპელაციო საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სააპელაციო საბჭოს სამდივნო, რომლის ფუნქციასაც ასრულებს ცენტრი. სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. სამდივნო სააპელაციო საბჭოს წევრებს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე უგზავნის საბჭოს სხდომის დღის წესრიგს და არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე უგზავნის შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) სააპელაციო საჩივარსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას;

ბ) საავტორიზაციო დოკუმენტაციას;

გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და მასზე მაძიებლის მოსაზრებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

8. ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, სააპელაციო საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. სააპელაციო საბჭოს წევრი უფლებამოსილია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს სხვა დოკუმენტაციის მიწოდებაც.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 96[1]. სააპელაციო საბჭოს წევრის ინტერესთა კონფლიქტი**

1. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. საბჭოს წევრი ასევე არ არის უფლებამოსილი, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის – დაწესებულების ან ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

2. ინტერესთა კონფლიქტად ითვლება გარემოება, როდესაც საბჭოს წევრი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების დოკუმენტაციის შემუშავებაში;

ე) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მონაწილეობდა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების პროცესში;

ვ) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან ან იღებდა ანაზღაურებას სხვა სახის საქმიანობის ფარგლებში;

ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

თ) მისი ოჯახის წევრი შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ი) არსებობს სხვა ნებისმიერი სახის პირადი ინტერესი ან/და გარემოება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს გავლენა საბჭოს წევრის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის, ახლო ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. სააპელაციო საბჭოს წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე და საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილების შესახებ. ამასთანავე, საბჭოს წევრი ვალდებულია ცენტრის მიერ საბჭოს სხდომაზე განსახილველი დოკუმენტაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში პროაქტიულად შეამოწმოს და აცნობოს ცენტრს ხომ არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი საბჭოს სხდომაზე განსახილველ რომელიმე საკითხთან მიმართებით.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო საბჭოს წევრის აცილების საფუძველი და საბჭოს წევრს არ განუცხადებია თვითაცილება, უფლება აქვს სააპელაციო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განუცხადოს მას აცილება.

6. აცილების და თვითაცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

7. აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს სააპელაციო საბჭო ხმათა უმრავლესობით საბჭოს იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის აცილების/თვითაცილების საკითხიც განიხილება. აცილების თაობაზე საბჭომ შესაძლოა მოუსმინოს როგორც დაინტერესებულ მხარეს, რომელმაც განაცხადა აცილება, აგრეთვე საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც აცილების საკითხი იქნა დაყენებული.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 97. სააპელაციო საჩივარი**

1. სააპელაციო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და მასში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მიმართვა სააპელაციო საბჭოსადმი;

ბ) სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა/დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია;

გ) იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) სააპელაციო საჩივარზე დართული დოკუმენტაციის ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. სააპელაციო საბჭო არ განიხილავს სააპელაციო საჩივარს, თუ:

ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს წარმოებაშია;

ბ) სააპელაციო საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

გ) გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ამ დებულების 95-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადა;

დ) მოთხოვნილი საკითხის განხილვა სცდება სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს.

3. სააპელაციო საბჭო სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით.

**მუხლი 98. სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა**

სააპელაციო საბჭო ვალდებულია სააპელაციო საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწვეტილება მიიღოს საჩივრის მიღებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 99. ზეპირი მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება**

1. სააპელაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის, საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესახებ ავტორიზაციის მაძიებლის მოსაზრებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

$1^1$. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ იმ დოკუმენტებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია წარმოების ფარგლებში და რომელიც გამოვლინდა ზეპირი მოსმენის მიმდინარეობისას. გარემოება, რომელიც არ იყო ასახული დოკუმენტაციაში ან არ გამოვლენილა ზეპირი მოსმენისას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

2. სააპელაციო საბჭოს სხდომას იწვევს სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე.

3. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში.

4. სხდომას უძღვება სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. სააპელაციო საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს სააპელაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სააპელაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. ამ რაოდენობაში არ ჩაითვლება სააპელაციო საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.

6. სააპელაციო საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში შემავალი ექსპერტები, ასევე, ცენტრის წარმომადგენლები, უფლებამოსილი არიან, დაესწრონ ზეპირ მოსმენას, ხოლო სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით - მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში.

8. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაზე სხვა პირის მოწვევა.

9. სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მონაწილეობდეს სააპელაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირი.

10. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

11. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით, მისცეს სააპელაციო საბჭოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა ან უარყოს ის მონაცემები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები, რომელსაც დაეფუძნა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12. ზეპირ მოსმენაზე სააპელაციო საბჭო მსჯელობს მხოლოდ იმ დოკუმენტაციაზე, რომელიც შემუშავდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებამდე.

13. სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარისა და სააპელაციო საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე და სააპელაციო საბჭოს მდივანი.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

**მუხლი 100. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები ავტორიზაციის საბჭოს მონაწილეობა სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში**

1. სააპელაციო საბჭოს მიერ სააპელაციო საჩივრის მიღების შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ ავტორიზაციის საბჭოს, სამდივნოს მეშვეობით, ეგზავნება სააპელაციო საჩივარი და მასზე დართული დოკუმენტების ასლები.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის ასლის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს სააპელაციო საბჭოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება სააპელაციო საჩივრის შესახებ.

3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები ავტორიზაციის საბჭო სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე დაინტერესებულ მხარეს.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები ავტორიზაციის საბჭო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, ზეპირ მოსმენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ამ საბჭოს თავმჯდომარით ან მისი თანხმობით, საბჭოს სხვა წევრით.

**მუხლი 101. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებები**

1. სააპელაციო საბჭო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

2. სააპელაციო საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ;

ბ) ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

$2^1$. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას სააპელაციო საბჭო იღებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ამასთან, სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმით უზრუნველყოფილია

კენჭისყრის შედეგების საჯაროობა.

3. სააპელაციო საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

4. სააპელაციო საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

5. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.

6. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების სააპელაციო საბჭოში გასაჩივრება არ იწვევს ამ გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

**მუხლი 102. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები**

1. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში.

2. ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო განიხილავს საკითხს ამ დებულებით დადგენილი წესით და გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

3. ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ამ დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტით, 42-ე მუხლის პირველი პუქნტით ან 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ავტორიზაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების განხილვისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

4. ამ თავით განსაზღვრული წესით ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ავტორიზაციის მაძიებელს/საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

**მუხლი $102^1$. ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის წესი**

1. ავტორიზაციის მაძიებელი, საგანმანათლებლო დაწესებულება ან/და ავტორიზაციის პროცესში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ცენტრში ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას კონკრეტული გარემოების დადგომიდან ან პროცესის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარადგინოს საჩივარი, თუკი, ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების ან/და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის/წევრების მიერ დაირღვევა ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 67-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსით“ ან/და ცენტრის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები.

2. საჩივარი, რომელიც წარდგენილია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის/წევრების მიმართ, განიხილება ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 67-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. საჩივარი, რომელიც წარდგენილია ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების მიმართ, განიხილება ცენტრის შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, საჩივრის შედგენისა და განხილვის წესი და პირობები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ავტორიზაციის მაძიებელი, საგანმანათლებლო დაწესებულება ან/და ავტორიზაციის პროცესში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია წარადგინოს საჩივარი ავტორიზაციის საბჭოებისა და სააპელაციო საბჭოს წევრ(ებ)ის მიმართ ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნებისა და ამ დებულებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, საჩივრის შედგენისა და განხილვის წესი და პირობები მტკიცდება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

## თავი VI

## გარდამავალი დებულებები

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №36/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.*

### მუხლი 103. გარდამავალ პერიოდში დებულებით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი

1. გარდამავალ პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა, საბჭოების წევრების და სააპელაციო საბჭოს წევრების ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში), გარდა რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომამდე განსახორციელებელი ფუნქცია-მოვალეობებისა.

$1^1$. გარდამავალ პერიოდში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განხორციელდეს ნახევრად დისტანციურად, რაც გულისხმობს ავტორიზაციის ექსპერტების (გარდა საერთაშორისო ექსპერტის/ექსპერტების) მიერ დაწესებულების მატერიალური რესურსების, კლინიკური ბაზებისა და ლაბორატორიების შეფასებას ადგილზე ვიზიტის განხორციელებით. ამასთან, აღნიშნული ასევე გულისხმობს საერთაშორისო ექსპერტის/ექსპერტების მიერ დაწესებულების მატერიალური რესურსების, კლინიკური ბაზებისა და ლაბორატორიების დათვალიერებას დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რაც ტექნიკურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავტორიზაციის მაძიებლის მიერ.

2. გარდამავალ პერიოდად ჩაითვალოს ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრამდე პერიოდი.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 16.03.2021 წ.*

### მუხლი 104. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვალდებულების წარმოშობის ვადები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება მიეცეთ ამ დებულების 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყოველწლიური თვითშეფასება განახორციელონ 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ. ამასთან, თვითშეფასების განხორციელების კონკრეტული პერიოდი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება მიეცეთ ამ დებულების 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყოველწლიური თვითშეფასება განახორციელონ 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ. ამასთან, თვითშეფასების განხორციელების კონკრეტული პერიოდი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 105. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის ვადები**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებმაც ავტორიზაცია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე გაიარეს, 2024 წლის 1 სექტემბრისთვის უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა (იმავე კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის პირობების შემოწმებისას) ამ დებულების შესაბამისად.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 106. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტის დისტანციურად განხორციელება**

ამ დებულების მე-15 მუხლის $2^1$ პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2023 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით დაწყებულ ყველა ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

*დანართი №2*

**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასური**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ამ დანართით გათვალისწინებული საფასურის ოდენობები მოიცავს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ საპროგნოზო ადმინისტრაციულ (სახელფასო, საოფისე და საბჭოს სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებულ) ხარჯებს, ავტორიზაციის ექსპერტთა ანაზღაურებისა და მივლინების (საჭიროების შემთხვევაში) ხარჯებს, ავტორიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ არანაკლებ 10%-ს.

2. ამ დანართით გათვალისწინებული საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ცენტრის საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 2 მაისის ბრძანება №88/ნ - ვებგვერდი, 08.05.2012წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №99/ნ - ვებგვერდი, 17.05.2012წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 სექტემბრის ბრძანება №112/ნ - ვებგვერდი, 02.09.2015წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №90/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

### მუხლი 1[1]. ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასური

ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასური შეადგენს 500 ლარს.
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*

### მუხლი 1[2]. ავტორიზაციის საფასურის უკან დაბრუნება

ამ დანართით გათვალისწინებული ყველა ადმინისტრაციული წარმოების საფასური, გარდა ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურისა, სრულად ბრუნდება, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას მოითხოვს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნამდე.
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

### მუხლი 1[3]. ავტორიზაციის საფასური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლისათვის

1. ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იხდის ავტორიზაციის საფასურს, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის (მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 42 კაც/დღე) მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება საერთო შეფასებაში (100%) შესაბამისი წილის მქონე და შინაარსობრივი/რაოდენობრივი ნიშნით ჩაშლილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

**ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახე – 1/10 წილი, საიდანაც:**

ა.ა) კოლეჯი = 30%;

ა.ბ) სასწავლო უნივერსიტეტი = 50%;

ა.გ) უნივერსიტეტი =100%;

**ბ) მდგომარეობა (არსებული/ახალი) – 1/20 წილი, საიდანაც:**

ბ.ა) ახალი = 70%;

ბ.ბ) არსებული = 100%;

**გ) სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა – ¼ წილი, საიდანაც:**

გ.ა) 1-500 = 60%;

გ.ბ) 501-1500 = 70%;

გ.გ) 1501-4500 = 80%;

გ.დ) 4501-13500 = 90%;

გ.ე) 13501-და მეტი = 100%;

**დ) მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა – ¼ წილი, საიდანაც:**

დ.ა) 1-20 = 60%;

დ.ბ) 21-50 = 70%;

დ.გ) 51-100 = 80%;

დ.დ) 101-150 = 90%;

დ.ე) 151-და მეტი = 100%;

**ე) აკადემიური პერსონალის რაოდენობა – 1/5 წილი, საიდანაც:**

ე.ა)  1-50 = 45%;

ე.ბ) 51-100 = 60%;

ე.გ) 101-150 = 70%;

ე.დ) 151-200 = 80%;

ე.ე) 201-და მეტი = 100%;

**ვ) ფართი – 1/20 წილი, საიდანაც:**

ვ.ა) 1-5000 კვ.მ.= 50%;

ვ.ბ) 5001-15000 კვ.მ. = 60%;

ვ.გ) 15001-40000 კვ.მ. = 70%;

ვ.დ) 40001-80000 კვ.მ. = 80%;

ვ.ე) 80001-და მეტი კვ.მ. = 100%;

**ზ) მისამართების რაოდენობა და მდებარეობა – 1/10 წილი, საიდანაც:**

ზ.ა)  ერთ  მისამართზე  =  0%;

ზ.ბ) სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში = 70%;

ზ.გ) სხვადასხვა მუნიციპალიტეტში = 100%.

**3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახისა და კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით:**

ა) კოლეჯის სტატუსის მაძიებლისათვის:

| კაც-დღე | ავტორიზაციის საფასური (ლარში) მივლინების გარეშე | ავტორიზაციის საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|
| 20 | 23340 | 27441 |
| 21 | 23858 | 28378 |
| 22 | 24376 | 29315 |
| 23 | 24893 | 30252 |
| 24 | 25411 | 31189 |
| 25 | 25929 | 32126 |
| 26 | 26447 | 33063 |
| 27 | 26965 | 34000 |

| | | |
|---|---|---|
| 28 | 27483 | 34937 |
| 29 | 28001 | 35874 |
| 30 | 28519 | 36811 |
| 31 | 29037 | 37748 |
| 32 | 29555 | 38685 |
| 33 | 30073 | 39622 |
| 34 | 30591 | 40559 |
| 35 | 31109 | 41496 |
| 36 | 31627 | 42433 |
| 37 | 32145 | 43370 |
| 38 | 32663 | 44307 |
| 39 | 33180 | 45244 |
| 40 | 33698 | 46181 |
| 41 | 34216 | 47118 |
| 42 | 34734 | 48055 |

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მაძიებლისათვის:

| კაც-დღე | ავტორიზაციის საფასური (ლარში) მივლინების გარეშე | ავტორიზაციის საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|
| 20 | 29948 | 34050 |
| 21 | 30466 | 34987 |
| 22 | 30984 | 35924 |
| 23 | 31502 | 36861 |
| 24 | 32020 | 37798 |
| 25 | 32538 | 38735 |
| 26 | 33056 | 39672 |
| 27 | 33574 | 40609 |
| 28 | 34092 | 41546 |
| 29 | 34610 | 42483 |
| 30 | 35128 | 43420 |
| 31 | 35646 | 44357 |

| | | |
|---|---|---|
| 32 | 36163 | 45294 |
| 33 | 36681 | 46231 |
| 34 | 37199 | 47168 |
| 35 | 37717 | 48105 |
| 36 | 38235 | 49042 |
| 37 | 38753 | 49979 |
| 38 | 39271 | 50916 |
| 39 | 39789 | 51853 |
| 40 | 40307 | 52790 |
| 41 | 40825 | 53727 |
| 42 | 41343 | 54664 |

გ) უნივერსიტეტის სტატუსის მაძიებლისათვის:

| კაც-დღე | ავტორიზაციის საფასური (ლარში) მივლინების გარეშე | ავტორიზაციის საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|
| 20 | 32624 | 36725 |
| 21 | 33142 | 37662 |
| 22 | 33660 | 38599 |
| 23 | 34178 | 39536 |
| 24 | 34695 | 40473 |
| 25 | 35213 | 41410 |
| 26 | 35731 | 42347 |
| 27 | 36249 | 43284 |
| 28 | 36767 | 44221 |
| 29 | 37285 | 45158 |
| 30 | 37803 | 46095 |
| 31 | 38321 | 47032 |
| 32 | 38839 | 47969 |
| 33 | 39357 | 48906 |
| 34 | 39875 | 49843 |
| 35 | 40393 | 50780 |
| 36 | 40911 | 51717 |

| | | |
|---|---|---|
| 37 | 41429 | 52654 |
| 38 | 41947 | 53591 |
| 39 | 42465 | 54528 |
| 40 | 42982 | 55465 |
| 41 | 43500 | 56402 |
| 42 | 44018 | 57339 |

4. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი საავტორიზაციო განაცხადში მიუთითებს, რომ სურს რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის საფასურს დაემატება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ავტორიზაციის ექსპერტთა ანაზღაურებისა და მივლინების (საჭიროების შემთხვევაში) ხარჯები, რაც გამოითვლება ამ მუხლის მე- 2 პუნქტის მიხედვით გაანგარიშებული კაც/დღის ნამრავლით შესაბამის კოეფიციენტზე, შემდეგი სახით:

| კაც-დღე | კოეფიციენტი (მივლინების გარეშე) | კოეფიციენტი (მივლინების საჭიროების შემთხვევაში) |
|---|---|---|
| 20 | 913.90 | 964.00 |
| 21 | 875.2857 | 927.4761 |
| 22 | 840.1818 | 894.3181 |
| 23 | 808.1304 | 864.00 |
| 24 | 778.7916 | 836.2083 |
| 25 | 751.76 | 810.64 |
| 26 | 726.8461 | 787.0384 |
| 27 | 703.7407 | 765.2222 |
| 28 | 682.2857 | 744.9285 |
| 29 | 662.3103 | 726.0344 |
| 30 | 643.6666 | 708.40 |
| 31 | 626.2258 | 691.9032 |
| 32 | 609.9062 | 676.4687 |
| 33 | 594.5454 | 661.9393 |
| 34 | 580.0882 | 648.2647 |
| 35 | 566.4571 | 635.3714 |
| 36 | 553.5833 | 623.2222 |
| 37 | 541.4054 | 611.7027 |
| 38 | 529.8684 | 600.7894 |

| | | |
|---|---|---|
| 39 | 518.9487 | 590.4358 |
| 40 | 508.575 | 580.60 |
| 41 | 498.6829 | 571.2682 |
| 42 | 498.2619 | 562.3571 |

5. იმ შემთხვევაში თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი საავტორიზაციო განაცხადში მიუთითებს, რომ სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაც, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის საფასურს დაემატება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისათვის დადგენილი საფასური, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის (მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 36 კაც/დღე) მიხედვით.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის შესაბამისად. ერთი იურიდიული პირის მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ან სხვადასხვა ენაზე განსახორციელებელი ერთიდაიგივე პროგრამა საფასურის განსაზღვრის მიზნებისათვის განიხილება დამოუკიდებელ პროგრამებად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისათვის საფასური შეადგენს:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | კაც/დღეების რაოდენობა | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 1 | 8 | 10,449.00 | 14,030.00 |
| 2 | 10 | 10,722.00 | 14,550.00 |
| 3 | 12 | 10,995.00 | 15,070.00 |
| 4 | 14 | 11,268.00 | 15,591.00 |
| 5 | 16 | 11,540.00 | 16,111.00 |
| 6 | 18 | 11,813.00 | 16,632.00 |
| 7 | 20 | 12,086.00 | 17,152.00 |
| 8 | 22 | 12,359.00 | 17,672.00 |
| 9 | 24 | 12,632.00 | 18,193.00 |
| 10 | 26 | 12,905.00 | 18,713.00 |
| 11 | 28 | 13,178.00 | 19,234.00 |
| 12 | 30 | 13,451.00 | 19,754.00 |
| 13 | 32 | 13,724.00 | 20,274.00 |
| 14 | 34 | 13,997.00 | 20,795.00 |
| 15 | 36 | 14,270.00 | 21,315.00 |

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №106/ნ - ვებგვერდი, 14.06.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

მუხლი 1 . ავტორიზაციის საფასური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლისათვის

1. ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი იხდის ავტორიზაციის საფასურს, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის (მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 34 კაც/დღე) მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის შესაბამისად. ერთი იურიდიული პირის მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ან სხვადასხვა ენაზე განსახორციელებელი ერთი და იგივე პროგრამა საფასურის განსაზღვრის მიზნებისათვის განიხილება დამოუკიდებელ პროგრამებად.

3. ავტორიზაციის საფასური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

სტატუსის მაძიებლისათვის შეადგენს:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | კაც/დღეების რაოდენობა | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 1 | 6 | 8,658.00 | 13,745.00 |
| 2 | 8 | 8,931.00 | 14,265.00 |
| 3 | 10 | 9,204.00 | 14,786.00 |
| 4 | 12 | 9,477.00 | 15,306.00 |
| 5 | 14 | 9,750.00 | 15,826.00 |
| 6 | 16 | 10,022.00 | 16,347.00 |
| 7 | 18 | 10,295.00 | 16,867.00 |
| 8 | 20 | 10,568.00 | 17,388.00 |
| 9 | 22 | 10,841.00 | 17,908.00 |
| 10 | 24 | 11,114.00 | 18,428.00 |
| 11 | 26 | 11,387.00 | 18,949.00 |
| 12 | 28 | 11,660.00 | 19,469.00 |
| 13 | 30 | 11,933.00 | 19,990.00 |
| 14 | 32 | 12,206.00 | 20,510.00 |
| 15 | 34 | 12,479.00 | 21,030.00 |

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №106/ნ - ვებგვერდი, 14.06.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

**მუხლი 1[5]. ავტორიზაციის საფასური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლისათვის**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იხდის ავტორიზაციის საფასურს, შემდეგი ოდენობით:

ა) მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში

თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 384.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის - 6 816.00 ლარს;

ბ) მხოლოდ საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 718.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 7 038.00 ლარს;

გ) მხოლოდ საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 496.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 6 816.00 ლარს;

დ) მხოლოდ დაწყებითი და საბაზო ან მხოლოდ დაწყებითი და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 7 496.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 9 038.00 ლარს;

ე) მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 7 273.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 8 927.00 ლარს;

ვ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 9 162.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 11 372.00 ლარს.

$1^1$. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი, რომელიც საავტორიზაციო განაცხადში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მიუთითებს 170-ზე ნაკლებ ადგილს, სარგებლობს ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურით“ დადგენილი საფასურების 50%-იანი შეღავათით ერთჯერადად.

$1^2$. თუ ამ მუხლის $1^1$ პუნქტით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის მინიჭებიდან 2 წლის განმავლობაში ცენტრს მიმართავს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადით და განაცხადში მიუთითებს 170 ან მეტ ადგილს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდისათვის დადგენილ საფასურთან ერთად, დამატებით გადაიხდის თანხის იმ ოდენობას, რაც პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე ამ მუხლის $1^1$ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათიდან გამომდინარე მის მიერ არ იქნა გადახდილი. აღნიშნული პირობა არ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საბჭოს მიერ განსაზღვრულ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა, ყოველ დამატებით საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საფასურს ემატება ამ დანართის $1^7$ მუხლის მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული საფასური პროგრამის სახეობის შესაბამისად;

3. (ამოღებულია - 29.12.2022, №145/ნ).

4. იმ შემთხვევაში თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი საავტორიზაციო განაცხადში მიუთითებს, რომ სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაც, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის საფასურს დაემატება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისათვის დადგენილი საფასური,

რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის (მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 36 კაც/დღე) მიხედვით;

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის შესაბამისად. ერთი იურიდიული პირის მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ან სხვადასხვა ენაზე განსახორციელებელი ერთი და იგივე პროგრამა საფასურის განსაზღვრის მიზნებისათვის განიხილება დამოუკიდებელ პროგრამებად.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისათვის საფასური შეადგენს:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | კაც/დღეების რაოდენობა | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 1 | 8 | 10,091.00 | 12,716.00 |
| 2 | 10 | 10,364.00 | 13,237.00 |
| 3 | 12 | 10,636.00 | 13,757.00 |
| 4 | 14 | 10,909.00 | 14,278.00 |
| 5 | 16 | 11,182.00 | 14,798.00 |
| 6 | 18 | 11,455.00 | 15,318.00 |
| 7 | 20 | 11,728.00 | 15,839.00 |
| 8 | 22 | 12,001.00 | 16,359.00 |
| 9 | 24 | 12,274.00 | 16,880.00 |
| 10 | 26 | 12,547.00 | 17,400.00 |
| 11 | 28 | 12,820.00 | 17,920.00 |
| 12 | 30 | 13,093.00 | 18,441.00 |
| 13 | 32 | 13,366.00 | 18,961.00 |
| 14 | 34 | 13,638.00 | 19,482.00 |
| 15 | 36 | 13,911.00 | 20,002.00 |

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №106/ნ - ვებგვერდი, 14.06.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 1$^{6}$. საფასური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისათვის**

1. ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო/უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გარდა, სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება, იხდის საფასურს, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის (მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 36 კაც/დღე) მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის შესაბამისად; საფასურის ოდენობა

განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის $1^3$ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის $1^5$ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №106/ნ - ვებგვერდი, 14.06.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

### მუხლი $1^7$. საფასური საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს დაიმატოს შესაბამისი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, იხდის საფასურს, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის შესაბამისად და საფასური შეადგენს:

| კაც/დღე | აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საფასური (ლარში) მივლინების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 9 | 1 | 2441 | 3217 |
| 12 | 2 | 2943 | 4334 |
| 15 | 3/4 | 3445 | 5451 |

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებად განიხილება შემთხვევა, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მქონე დაწესებულება ითხოვს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებას, რომლის განხორციელების უფლებაც არ აქვს მოპოვებული, ან იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება სხვა მუნიციპალიტეტში ან იმისგან განსხვავებულ ენაზე, რომლის განხორციელების უფლებაც უკვე აქვს მოპოვებული.“;

4. საფასური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის შეადგენს 2,502.00 ლარს მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,054.00 ლარს.

5. საფასური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის შეადგენს 2,229.00 ლარს მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 3,272.00 ლარს.

6. საფასური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის შეადგენს 2,570.00 ლარს მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,122.00 ლარს.
7. საფასური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ:
ა) დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეადგენს 3 841.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში – 5 470.00 ლარს;

ბ) საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეადგენს 4 175.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში – 5 693.00 ლარს;

გ) საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეადგენს 3 953.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში – 5 470.00 ლარს;

დ) დაწყებითი და საბაზო ან დაწყებითი და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისათვის თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეადგენს 5953.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში – 7 693.00 ლარს;

ე) საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისათვის თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეადგენს 5 730.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში – 7581.00 ლარს;

ზ) სხვა მუნიციპალიტეტში ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისათვის შეადგენს:

ზ.ა) თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტში მდებარე დაწესებულებისათვის, თბილისის, მცხეთისა და რუსთავის ფარგლებში – 7 619.00 ლარს;

ზ.ბ) თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტში მდებარე დაწესებულებისათვის, თბილისის, მცხეთისა და რუსთავის გარეთ – 10 026.00 ლარს;

ზ.გ) საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე დაწესებულებებისათვის, მისი მუნიციპალიტეტის გარეთ, გარდა თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტისა – 10 026.00 ლარს;

ზ.დ) საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე დაწესებულებებისათვის, მისი მუნიციპალიტეტის გარეთ, თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის ფარგლებში – 7 619.00 ლარს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №106/ნ - ვებგვერდი, 14.06.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი 1[8]. საფასური მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა/სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისათვის**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისათვის, იხდის საფასურს, რომლის ოდენობა შეადგენს 3175.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისათვის - 4915.00 ლარს.

1[1]. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა გამოწვეულია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებით, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იხდის მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებისთვის განსაზღვრულ საფასურს.

2. (ამოღებულია - 29.12.2022, №145/ნ).

3. (ამოღებულია - 29.12.2022, №145/ნ).

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა, იხდის საფასურს, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება საერთო შეფასებაში (100%) შესაბამისი წილის მქონე და შინაარსობრივი/რაოდენობრივი ნიშნით ჩაშლილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

**ა) სტუდენტების მოთხოვნილი რაოდენობა, რომლითაც დაწესებულებას სურს ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა – 1/5 წილი, საიდანაც:**

ა.ა) 1-100 = 60%;

ა.ბ) 101-150 = 70%;

ა.გ) 151-500 = 80%;

ა.დ) 501-1000 = 90%;

ა.ე) 1001-და მეტი = 100%;

**ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა – 1/3.33 წილი, საიდანაც:**

ბ.ა) 1-20 = 45%;

ბ.ბ) 21-50 = 60%;

ბ.გ) 51-100 = 70%;

ბ.დ) 101-150 = 80%;

ბ.ე) 151-და მეტი = 100%;

**გ) მისამართების რაოდენობა და მდებარეობა – 1/3.33 წილი, საიდანაც:**

გ.ა) ერთ მისამართზე = 35%;

გ.ბ) სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში = 70%;

გ.გ) სხვადასხვა მუნიციპალიტეტში = 100%;

**დ) ფართი – 1/5 წილი, საიდანაც:**

დ.ა) 1-500 კვ.მ.= 50%;

დ.ბ) 501-1500 კვ.მ. = 60%;

დ.გ) 1501-3000 კვ.მ. = 70%;

დ.დ) 3001-5000 კვ.მ. = 80%;

დ.ე) 5001-და მეტი კვ.მ. = 100%.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით, საფასური შეადგენს:

| კაც/დღე | საფასური (ლარში) მივლინებისსაჭიროების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|
| 12 | 3844 | 4827 |
| 13 | 4013 | 5189 |

| | | |
|---|---|---|
| 14 | 4182 | 5550 |
| 15 | 4351 | 5911 |
| 16 | 4520 | 6272 |
| 17 | 4689 | 6633 |
| 18 | 4857 | 6995 |
| 19 | 5026 | 7356 |
| 20 | 5195 | 7717 |
| 21 | 5364 | 8078 |
| 22 | 5533 | 8439 |
| 23 | 5702 | 8801 |
| 24 | 5871 | 9162 |

7. საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა, იხდის საფასურს, რომელიც შეადგენს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისათვის თითოეულ პროგრამაზე 2,229.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 3,272.00 ლარს;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისათვის თითოეულ პროგრამაზე 2,570.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,122.00 ლარს;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისათვის თითოეულ პროგრამაზე 2,502.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,054.00 ლარს.

8. ერთი იურიდიული პირის მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ან/და სხვა ენაზე განხორციელებული ერთი და იგივე პროფესიული ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ამ მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებით დადგენილი საფასურის განსაზღვრის მიზნებისათვის განიხილება დამოუკიდებელ პროგრამებად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №106/ნ - ვებგვერდი, 14.06.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი $1^9$. საფასური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით ანგარიშის წარმოდგენისათვის**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით ანგარიშის წარმოდგენისათვის, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) პროცესი, საფასური გამოითვლება კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით და შეადგენს:

| კაც/დღეები | ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) საფასური (ლარი) მივლინების საჭიროების გარეშე | ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) საფასური (ლარი) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|
| 20 | 3650 | 5406 |
| 21 | 3817 | 5754 |
| 22 | 3984 | 6100 |
| 23 | 4151 | 6447 |
| 24 | 4318 | 6793 |
| 25 | 4486 | 7140 |
| 26 | 4653 | 7486 |
| 27 | 4820 | 7834 |
| 28 | 4987 | 8181 |
| 29 | 5155 | 8527 |
| 30 | 5322 | 8874 |
| 31 | 5489 | 9220 |
| 32 | 5656 | 9567 |
| 33 | 5823 | 9914 |
| 34 | 5991 | 10261 |
| 35 | 6158 | 10607 |
| 36 | 6325 | 10954 |
| 37 | 6492 | 11300 |
| 38 | 6660 | 11647 |
| 39 | 6827 | 11995 |
| 40 | 6994 | 12341 |
| 41 | 7161 | 12688 |

| | | |
|---|---|---|
| 42 | 7328 | 13034 |

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის ბრძანება №117/ნ - ვებგვერდი, 19.06.2019წ.*

**მუხლი $1^{10}$. საფასური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისთვის**

1. საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება, თითოეულ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ცვლილებაზე იხდის საფასურს, რომელიც შეადგენს:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის 2,502.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,054.00 ლარს;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის 2,229.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 3,272.00 ლარს;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის 2,570.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,122.00 ლარს.

2. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება გამოწვეულია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდით, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება იხდის მხოლოდ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისთვის განსაზღვრულ საფასურს.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

**მუხლი $1^{11}$. საფასური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებისთვის**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებისთვის საფასური შეადგენს:

ა) თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მოქმედი დაწესებულებებისათვის – 3175.00 ლარს

ბ) საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედი დაწესებულებებისათვის – 4915.00 ლარს.

2. იმ შემთხვევაში, თუ **იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში** საგანმანათლებლო **საქმიანობის მისამართის/ფართის** ცვლილება გამოწვეულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდით, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იხდის მხოლოდ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისთვის განსაზღვრულ საფასურს.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი $1^{12}$. საფასური საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმებისათვის**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მქონე დაწესებულება, რომელსაც სურს საკუთარი ინიციატივით მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმება, იხდის საფასურს, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით.

2. საფასურის ოდენობა განისაზღვრება დაწესებულების სახისა და პროგრამების რაოდენობის შესაბამისად ამ დანართის $1^3$ მუხლის მე-6-მე-7 პუნქტების, $1^4$ მუხლის მე-2-მე-3 პუნქტების და $1^5$ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული ოდენობით.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს საკუთარი ინიციატივით მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმება, იხდის საფასურს, რომლის ღირებულება შეადგენს:
ა) მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შემოწმების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 3 841.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 470.00 ლარს;

ბ) მხოლოდ საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 4 175.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 693.00 ლარს;

გ) მხოლოდ საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 3 953.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 470.00 ლარს;

დ) მხოლოდ დაწყებითი და საბაზო ან მხოლოდ დაწყებითი და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 953.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 7 693.00 ლარს;

ე) მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 5 730.00 ლარს, ხოლო და საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 7 581.00 ლარს.

ვ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – 7 619.00 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – და 10 026.00 ლარს.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

**მუხლი $1^{13}$. საფასური საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმებისათვის**

1. საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ხორციელდება მონიტორინგი, იხდის საფასურს, რომლის ოდენობა გამოითვლება ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მოცულობის – კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით.

2. საფასური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე მონიტორინგის განხორციელებისათვის თითოეულ მუნიციპალიტეტში შეადგენს:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | კაც/დღეების რაოდენობა | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 1 | 6 | 2,321.00 | 3,365.00 |
| 2 | 10 | 2,594.00 | 3,885.00 |
| 3 | 12 | 2,867.00 | 4,405.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | 14 | 3,140.00 | 4,925.00 |
| 5 | 16 | 3,413.00 | 5,446.00 |
| 6 | 18 | 3,686 .00 | 5,966.00 |
| 7 | 20 | 3,959.00 | 6,487.00 |
| 8 | 22 | 4,232 .00 | 7,007.00 |
| 9 | 24 | 4,505.00 | 7,527.00 |
| 10 | 26 | 4,777 .00 | 8,048.00 |

3. საფასური პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე მონიტორინგის განხორციელებისათვის თითოეულ მუნიციპალიტეტში შეადგენს:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | კაც/დღეების რაოდენობა | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 1 | 6 | 2,048.00 | 3,092.00 |
| 2 | 10 | 2,321.00 | 3,612.00 |
| 3 | 12 | 2,594.00 | 4,133.00 |
| 4 | 14 | 2,867.00 | 4,653.00 |
| 5 | 16 | 3,140.00 | 5,173.00 |
| 6 | 18 | 3,413.00 | 5,694.00 |
| 7 | 20 | 3,686.00 | 6,214.00 |
| 8 | 22 | 3,959.00 | 6,735.00 |
| 9 | 24 | 4,232.00 | 7,255.00 |
| 10 | 26 | 4,505.00 | 7,775.00 |

4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე მონიტორინგის განხორციელებისათვის თითოეულ მუნიციპალიტეტში შეადგენს:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | კაც/დღეების რაოდენობა | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების გარეშე | საფასური (ლარში) მივლინების საჭიროების შემთხვევაში |
|---|---|---|---|
| 1 | 6 | 2,458.00 | 3,501.00 |
| 2 | 10 | 2,731.00 | 4,022.00 |
| 3 | 12 | 3,004.00 | 4,542.00 |
| 4 | 14 | 3,276.00 | 5,062.00 |
| 5 | 16 | 3,549.00 | 5,583.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | 18 | 3,822.00 | 6,103.00 |
| 7 | 20 | 4,095.00 | 6,624.00 |
| 8 | 22 | 4,368.00 | 7,144.00 |
| 9 | 24 | 4,641.00 | 7,664.00 |
| 10 | 26 | 4,914.00 | 8,185.00 |

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ხორციელდება მონიტორინგი, იხდის საფასურს, რომელიც დაიანგარიშება შემდეგნაირად: თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში 1508.00 ლარს დამატებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სამუშაოს მოცულობის კაც/დღეების რაოდენობა გამრავლებული – ერთ კაც/დღის 167.00 ლარზე და დამატებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების სამუშაოს მოცულობის კაც/დღეების რაოდენობა გამრავლებული – ერთ კაც/დღის 111.00 ლარზე. საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში – 2345.00 ლარს დამატებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სამუშაოს მოცულობის კაც/დღეების რაოდენობა გამრავლებული – ერთ კაც/დღის 278.00 ლარზე, დამატებული ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის სამუშაოს მოცულობის კაც/დღეების რაოდენობა გამრავლებული – ერთ კაც/დღის 222.00 ლარზე და დამატებული ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების სამუშაოს მოცულობის კაც/დღეების რაოდენობა გამრავლებული – ერთ კაც/დღის 222.00 ლარზე ან 111.00 ლარზე (იმ შემთხვევაში, თუ საგნობრივი ექსპერტები ჯგუფის ვიზიტს აწარმოებენ დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით). კაც/დღეების რაოდენობა განისაზღვრება მონიტორინგის სპეციფიკისა და შინაარსის შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მონიტორინგის ფორმად ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლის განსაზღვრის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იხდის თბილისის, მცხეთის, რუსთავის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული მონიტორინგის საფასურს, მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად.

7. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მონიტორინგის ფორმად ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის განსაზღვრის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გათავისუფლებულია მონიტორინგის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

8. მონიტორინგის ფარგლებში ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და/ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს მონიტორინგის საფასური.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №145/ნ - ვებგვერდი, 30.12.2022წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 3 ივლისის ბრძანება №45/ნ - ვებგვერდი, 04.07.2025წ.*

**მუხლი 1[14]. საფასური საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვებისათვის**

საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვება, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იხდის საფასურს, რომლის ოდენობა შეადგენს:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის 2,502.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,054.00 ლარს;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის 2,229.00 ლარს, მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 3,272.00 ლარს;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის 2,570.00 ლარს მივლინების საჭიროების გარეშე, ხოლო მივლინების საჭიროების შემთხვევაში - 4,122.00 ლარს.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

**მუხლი 1[15]. საფასური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვებისთვის დაჩქარებული მომსახურებისთვის**

საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სურს დაიმატოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, გაზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, შეცვალოს პროგრამის განხორციელების ადგილი/ფართი, განახორციელოს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება დაჩქარებული მომსახურების გზით (არაუმეტეს 45 სამუშაო დღეში), თითოეული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იხდის საფასურს, რომელიც შეადგენს ამ დანართით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურებისთვის განსაზღვრული საფასურის ორმაგ ოდენობას.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

**მუხლი 2. გარდამავალი დებულებები**

1. ავტორიზაციის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება ის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც 2012 წლის 1 ნოემბრამდე მიიღებს სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილებას და ცენტრში წარადგენს საავტორიზაციო განაცხადს პროფესიული ან საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. დაწესებულება, რომელმაც სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში, უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 2011 წლის 1 თებერვლამდე დამატებით წარადგინოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები ან მოახდინოს არსებული პროგრამების მოდიფიცირება. დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს ამ დანართის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საფასური.
3. პროფესიული კოლეჯები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, უფლებამოსილნი არიან, 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინონ 2011 წლის 1 თებერვლამდე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს ამ დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფასური.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით 2015 წელს დამატების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის ცენტრში წარმოდგენა განხორციელდეს 2015 წლის 10 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში ამ დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის 4[1] ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასური დაიფარება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ბიუჯეტიდან.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით 2016 წელს დამატების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის ცენტრში წარმოდგენა განხორციელდეს 2016 წლის 1 მარტიდან 5 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში ამ დანართის პირველი მუხლის 4[1] ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასური დაიფარება

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებებიდან.

6. გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, 2016 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით დამატების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის ცენტრში წარმოდგენა განხორციელდეს 2016 წლის 15 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში ამ დანართის პირველი მუხლის $4^1$ პუნქტით გათვალისწინებული საფასური დაიფარება ცენტრისათვის „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებებიდან, იმ ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამებისათვის, რომელთა დამატების მიზნითაც ცენტრში ადმინისტრაციული წარმოება პირველად ტარდება.

7. ავტორიზაციის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მიიღებს სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილებას და 2018 წლის 1 იანვრამდე ცენტრში წარადგენს საავტორიზაციო განაცხადს პროფესიული ან საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად.

8. ცენტრი უფლებამოსილია ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურის“ (დანართი N2) $1^{15}$ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში, 2020 წლის 13 თებერვლიდან 2020 წლის 12 ივნისის ჩათვლით, წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება განახორციელოს 45 სამუშაო დღის ვადაში, დაჩქარებული მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურით“ (დანართი N2) გათვალისწინებული სტანდარტული საფასურის გადახდის საფუძველზე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №118/ნ - სსმ III, №162,13.10 .2010წ.,მუხ.294*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 27 იანვრის ბრძანება №6/ნ - ვებგვერდი, 28.01.2011 წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 10 ივლისის ბრძანება №70/ნ - ვებგვერდი, 10.07.2015წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 თებერვლის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 29.02.2016წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №90/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №180/ნ - ვებგვერდი, 16.10.2017წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 22 ივნისის ბრძანება №65/ნ - ვებგვერდი, 22.06.2020 წ.*

**მუხლი 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტის დისტანციურად განხორციელება**

ამ დებულების $1^5$ მუხლის პირველი, $1^1$, $1^2$ პუნქტებითა და $1^7$ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საფასურები გავრცელდეს 2023 წლის 29 მარტიდან მაძიებლად ცნობილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ განხორციელებულ ადმინისტრაციულ წარმოებებზე.

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

*დანართი №3*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ - ვებგვერდი, 31.01.2018წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №35ნ - ვებგვერდი, 28.03.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №134/ნ - ვებგვერდი, 01.12.2025წ.*

სარჩევი


უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ........ 3

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება ........ 3
   1.1 უსდ-ის მისია ........ 3
   1.2 სტრატეგიული განვითარება ........ 3
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ........ 5
   2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ........ 5
   2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ........ 6
   2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ........ 8
3. საგანმანათლებლო პროგრამები ........ 9
   3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება ........ 9
   3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ........ 10
   3.3 სწავლის შედეგების შეფასება ........ 11
4. უსდ-ის პერსონალი ........ 12
   4.1. პერსონალის მართვა ........ 12
   4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ........ 14
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები ........ 15
   5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები ........ 15
   5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები ........ 16

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა ........ 17
6.1 კვლევითი საქმიანობა ........ 18
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ........ 19
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება ........ 20
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ........ 21
7.1 მატერიალური რესურსი ........ 21
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები ........ 25
7.3 საინფორმაციო რესურსი ........ 27
7.4 ფინანსური რესურსი ........ 28

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში – უსდ) ავტორიზაციის სტანდარტების მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა.

უსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტები შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებს. სტანდარტები ითვალისწინებს დაწესებულების სრულფასოვან შეფასებას, რაც გულისხმობს უსდ-ის რესურსების, რეგულაციების, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის, მიღწეული შედეგების და მისაღწევი შედეგებისათვის შესაძლებლობების (შესაბამისი დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების მექანიზმები და გამოყოფილი რესურსები) შეფასებას.

| | | |
|---|---|---|
| **1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება** | | |
| უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს. | | |
| აღწერილობა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
| **1.1 უსდ-ის მისია** | | |
| უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. | ▪ მისიაში გაცხადებულია უსდ-ის როლი ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე;<br>▪ უსდ-ის მისია ითვალისწინებს უმაღლესი განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში;<br>▪ მისია განსაზღვრავს უსდ-ის მახასიათებლებს მისი სახისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების (პროფილი) შესაბამისად;<br>▪ მისია გაზიარებულია უსდ-ის საზოგადოების მიერ. | ▪ უსდ-ის მისია;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **1.2 სტრატეგიული განვითარება** | | |

| | | |
|---|---|---|
| უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). | ▪ უსდ-ის სტრატეგია უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას;<br>▪ უსდ-ის მიზნები გამომდინარეობს მისი მისიიდან, მისი საქმიანობის პრიორიტეტებიდან, არის მიღწევადი, დროში გაწერილი და მათი განხორციელების შედეგები გაზომვადია;<br>▪ უსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას;<br>▪ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულნი არიან უსდ-ის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და უსდ-ის მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეები;<br>▪ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს უსდ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, მათ შორის, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვასა და განხორციელებას, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას, კვლევებს/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტურ სერვისებს, ინფრასტრუქტურასა და სხვა;<br>▪ სამოქმედო გეგმაში ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური). | ▪ სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი);<br>▪ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე | უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში, რისთვისაც გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორებიცაა: სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სხვა პროგრამები და ღონისძიებები, უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, | ▪ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები;<br>▪ უსდ-ის მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირი;<br>▪ ინტერვიუს შედეგები |

| | | |
|---|---|---|
| სწავლების პრინციპის განხორციელებას. | საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, კვლევების ჩატარება სხვადასხვა ინსტიტუციისთვის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებები. | |
| უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. | უსდ შიდა რეგულაციებისა და პროცედურების შესაბამისად ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. | ▪ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები;<br>▪ უსდ-ის საქმიანობის წლიური ანგარიშები;<br>▪ მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება. |

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

| აღწერილობა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
|---|---|---|
| **2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა** | | |
| უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. | ▪ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და უსდ-ის მიზნების მიღწევას.<br>▪ უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული.<br>▪ სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. | ▪ უსდ-ის სტრუქტურა;<br>▪ უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. | ▪ უსდ უზრუნველყოფს, რომ მართვის ორგანოებში არჩევა/დანიშვნა მოხდეს წინასწარგანსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ხედვისა და გეგმის განხილვის საფუძველზე; | ▪ მართვის ორგანოებში არჩევის/ დანიშვნის წესი და პროცედურები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები დამტკიცებულია, არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. | |
| უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. | ▪ მართვის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებები აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღება დროულად და ეფექტურად;<br>▪ უსდ-ის საქმისწარმოების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;<br>▪ უსდ-ის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;<br>▪ უსდ უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას;<br>▪ უსდ-ს ინსტიტუციაში მიმდინარე ძირითადი პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი სრულად ან ნაწილობრივ თავიდან აცილების საშუალებებს, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში ზარალის შემცირების სტრატეგიას. | ▪ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების სისტემა;<br>▪ უსდ-ის საქმისწარმოების წესი;<br>▪ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;<br>▪ ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. | ▪ უსდ-ის ხელმძღვანელობას მისიისა და მიზნების შესაბამისად შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროგრამების/პროექტების შემუშავება/განხორციელება, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას და სხვა;<br>▪ უსდ-ის ხელმძღვანელობა ზრუნავს ზემოაღნიშნული ღონისძიებების თანმიმდევრულად განხორციელებაზე და ინტერნაციონალიზაციის შედეგების უსდ-ის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებაზე. | ▪ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;<br>▪ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი;<br>▪ უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები, ასეთის არსებობის შემთხვევაში<br>▪ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები** | | |

| | | |
|---|---|---|
| ▪ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.<br>▪ უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას | ▪ უსდ-ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად არის ჩართული ყველა რგოლი;<br>▪ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად უსდ უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსის არსებობას;<br>▪ უსდ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები დაკავშირებულია უსდ - ს სტრატეგიულ განვითარების გეგმებთან და უსდ -ს მიზნებთან;<br>▪ დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები როგორც ინსტიტუციურ, ასევე პროგრამულ დონეზე საჯაროა დაინტერესებული მხარეებისათვის; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;<br>▪ უსდ-ის ხელმძღვანელობა შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.<br>▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა.<br>▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მონიტორინგის შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;<br>▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად არიან ჩართულები როგორც აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და | ▪ საჯაროდ ხელმისაწვდომი დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები;<br>▪ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით სანდო და საჭირო ინფორმაციის გენერირებას;<br>▪ შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების, რეკომენდაციების შესრულების შედეგების ანალიზი და განხორციელებული აქტივობები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და სხვა პირთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ვებ გვერდი.<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| | სტუდენტები, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.);<br>▪ უსდ პერიოდულად ახდენს მის მიერ მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.<br>▪ დაწესებულება პერიოდულად აანალიზებს გარე ხარისხის შეფასების, მიღებული რეკომენდაციების შესრულების შედეგებს, რომლებსაც იყენებს დაწესებულების განვითარებისთვის. | |
| უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. | ▪ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;<br>▪ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს უსდ-ის რესურსებს და უსდ-ის მიერ დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს. | ▪ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა** | | |
| უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. | ▪ უსდ-ის სტუდენტებისა და პერსონალისთვის შემუშავებული აქვს ეთიკისა და ქცევის წესები და განსაზღვრული აქვს ამ წესების დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები;<br>▪ უსდ-ის ადმინისტრაცია, შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, მუდმივად ზრუნავს ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებაზე. | ▪ ეთიკისა და ქცევის წესები;<br>▪ დარღვევაზე რეაგირების პროცედურები;<br>▪ განხორციელებული აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეთიკური და ქცევის ნორმების გაცნობისკენ და მათი დაცვის წახალისებისკენ;<br>▪ შესაბამისი რეგულაციების ხელმისაწვდომობა;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. | ▪ უსდ სათანადო რეგულაციებით, მექანიზმებით, საინფორმაციო კამპანიით და სხვა საშუალებებით ხელს უწყობს პლაგიატის თავიდან აცილებას, ავლენს პლაგიატის ფაქტებს.<br>▪ უსდ-ის შესაბამისი რეგულაციები ითვალისწინებს პლაგიატის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს. | ▪ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. | ▪ უსდ-ის შესაბამის მარეგულირებელ აქტ(ებ)ში დეკლარირებული აქვს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა;<br>▪ უსდ-ის საზოგადოება (პერსონალი და სტუდენტები) იცნობს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. | ▪ უსდ-ის მარეგულირებელი აქტ(ებ)ი;<br>▪ შესაბამისი რეგულაციების ხელმისაწვდომობა;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **3. საგანმანათლებლო პროგრამები** | | |
| **უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.** | | |
| აღწერილობა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
| 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | | |
| უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა. | ▪ უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია<br>▪ პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები), რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას;<br>▪ უსდ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური | ▪ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>▪ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი;<br>▪ კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;<br>▪ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;<br>▪ პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი |

| | | |
|---|---|---|
| | მოსწრების მონიტორინგის შედეგებს (პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით), პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას;<br>▪ უსდ მუშაობს პროგრამების განახლებასა და განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მუდმივად ცვალებად გარემოსთან;<br>▪ უსდ-ს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;<br>▪ პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და სტუდენტს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას. | პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** | | |
| პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. | ▪ პროგრამის შემუშავებისას უსდ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით;<br>▪ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;<br>▪ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ცალკეულ დარგში პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს<br>▪ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში; | ▪ საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;<br>▪ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;<br>▪ აკადემიური კალენდარი;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;<br>▪ ინფორმირების ალტერნატიული მექანიზმები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;<br>▪ პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულებისა და პროგრამიდან განთესვის მონიტორინგი;<br>▪ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზი;<br>▪ კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით; |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას;<br>▪ პროგრამის კომპონენტის მოცულობის განსაზღვრა ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;<br>▪ უსდ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას უსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამის კატალოგი ახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია უსდ-ის ვებგვერდზე. | ▪ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. | ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, ამასთან სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას. | ▪ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მეთოდოლოგია;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **3.3. სწავლის შედეგების შეფასება** | | |
| უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, | ▪ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც | ▪ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მათი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის; |

| | | |
|---|---|---|
| გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. | საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;<br>▪ შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები ნათლად არის გაწერილი და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან;<br>▪ სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ;<br>▪ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თანასწორ და სამართლიან მიდგომებს;<br>▪ სტუდენტი ინფორმირებულია უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ;<br>▪ უსდ-ში არსებობს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა. | ▪ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

## 4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

| აღწერილობა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა** | | |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და | ▪ უსდ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს:<br>○ პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს; | ▪ პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები (მათ შორის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების და პროფესიული განვითარების მექანიზმები) და განხორციელების შედეგები; |

| | | |
|---|---|---|
| სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. | ○ პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას;<br>○ აფილირების[1] წესსა და პირობებს;<br>○ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო, კვლევით/შემოქმედებით/ საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის პრინციპებს;<br>○ პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომებსა და სტრატეგიას;<br>○ წინასწარ ჩამოყალიბებულ ანაზღაურებისა და წახალისების პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგებს;<br>○ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურ ჩართვას სამუშაო პროცესში;<br>○ ინფორმაციას დასაქმებული პერსონალის შესახებ (სტატისტიკური მაჩვენებლები სხვადასხვა ჭრილში). | ▪ პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციების ხელმისაწვდომობა და მათ შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება;<br>▪ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;<br>▪ სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ, მათ შორის: აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი; |

[1] აფილირება გულისხმობს, დაწესებულებასა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან, ამ უსდ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ უსდ-ში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას, ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები კი ეთვლება აღნიშნულ უსდ-ს. ამასთან, სხვადასხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე დაფუძნებული კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის შედეგების ჩათვლის/განაწილების წესი განისაზღვრება აფილირების წესით და მის საფუძველზე გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით;
- აქტიურად არის ჩართული უსდ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

| | | |
|---|---|---|
| | ▪ უსდ პერსონალის მართვის პროცესში აქტიურად იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს;<br>▪ უსდ საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. | ▪ აფილირების წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;<br>▪ უსდ-ის მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული/ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას. | ▪ უსდ-ს აქვს განსაზღვრული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;<br>▪ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია უსდ-ს მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან | ▪ პერსონალის ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები;<br>▪ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;<br>▪ პერსონალის პირადი საქმეები;<br>▪ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;<br>▪ გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა** | | |
| უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, /სამეცნიერო-კვლევითი/ შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია. | ▪ უსდ-ს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე;<br>▪ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას (აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიური პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც მას უკავია აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა); | ▪ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);<br>▪ პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;<br>▪ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;<br>▪ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;<br>▪ აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;<br>▪ თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, უსდ-სთან შეთანხმებით, განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან;<br>▪ უსდ თავისი საგანმანათლებლო და კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, ადგენს სამიზნე ნიშნულებს პერსონალთან მიმართებით და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. | ▪ აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;<br>▪ უსდ-ის მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულები;<br>▪ სტუდენტთა და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

| აღწერილობა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
|---|---|---|
| 5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები | | |
| უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. | ▪ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის;<br>▪ საგანმანათლებლო დაწესებულება, სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურების ეფექტურად და დროულად წარმართვას. | ▪ მარეგულირებელი დოკუმენტები;<br>▪ ინფორმაციის საჯაროობა;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. | ▪ უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;<br>▪ დაწესებულება ვალდებულია, გააცნოს და განუმარტოს სტუდენტებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები;<br>▪ დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, იხილავს სტუდენტების საჩივრებს აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით. | ▪ უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;<br>▪ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები** | | |
| სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. | ▪ სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;<br>▪ უსდ პასუხისმგებლობას იღებს, სტუდენტებს სწავლის დაწყებისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია არსებული კონსულტაციებისა და დახმარების შესახებ. | ▪ დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. | ▪ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციისა და სხვა საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით;<br>▪ უსდ უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას, მათთან თანამშრომლობას;<br>▪ კარიერული მხარდაჭერის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი ხელს უწყობს დამსაქმებელთა ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელებას; | ▪ კარიერული მხარდაჭერის სერვისი;<br>▪ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები (დასაქმების ფორუმები, სამუშაო შეხვედრები, თემატური კონფერენციები, სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა.);<br>▪ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის, მინიჭებული კვალიფიკაციების მიხედვით;<br>▪ კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;<br>▪ განხორციელებული სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამები; |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ უსდ ქმნის დამსაქმებლების ბაზას და მუდმივად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით;<br>▪ უსდ მუდმივად ატარებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევას მათ კარიერულ, პიროვნულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით. | ▪ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და შედეგები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. | ▪ უსდ ქმნის სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობისა და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას, მათ შორის, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებისა და უნივერსიტეტის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით;<br>▪ უსდ უზრუნველყოფს დამატებითი (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები) წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას, მხარდაჭერას. | ▪ სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებელი სხვადასხვა პროექტში;<br>▪ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;<br>▪ განხორციელებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები/პროექტები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები. | ▪ უსდ ითვალისწინებს სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს (მაგ., სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა და სხვა შეღავათები).<br>▪ უსდ-ს აქვს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმები, რომელთა შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. | ▪ სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები:<br>▪ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;<br>▪ ინფორმაციის საჯაროობა;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

## 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

| აღწერილობა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
|---|---|---|
| 6.1. კვლევითი საქმიანობა | | |
| უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/ შემოქმედებით საქმიანობას. | ▪ დაწესებულება ხელს უწყობს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას. ამ მიზნით უსდ თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან და ახორციელებდეს ისეთ საქმიანობას კვლევისა და განვითარების სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებას;<br>▪ დაწესებულება ახორციელებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა. შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე;<br>▪ დაწესებულებას აქვს მისი, როგორც კვლევების/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ჩამოყალიბებული ხედვა და მის საქმიანობაში წარმოდგენილია და/ან დაგეგმილია კომპლექსური კვლევითი/განვითარების/სახელოვნებო-შემოქმედებითი აქტივობები;<br>▪ კვლევის შედეგები ინტეგრირებულია დაწესებულების სასწავლო საქმიანობაში. | ▪ უსდ-ის მისია;<br>▪ უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობა;<br>▪ თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკურ აგენტებთან და მათთან თანამშრომლობით დაგეგმილი, მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი პროექტები;<br>▪ უნივერსიტეტთან მიმართებით: უნივერსიტეტის მისია და მისი, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია;<br>▪ განხორციელებული, მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო -კვლევითი/ შემოქმედებითი საქმიანობის პროექტები;<br>▪ შესაბამისი გამოცემები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. | ▪ უნივერსიტეტს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დოქტორანტის/მკვლევრის ხელმძღვანელის ფუნქციები;<br>▪ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომების/სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტურ და ხარისხიან ხელმძღვანელობას, ნაშრომებისა და პროექტების მაღალ ხარისხს. | ▪ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა და ფუნქციები;<br>▪ ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის | სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მაღალი სტანდარტი უზრუნველყოფილია საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურებით და ამ პროცესებში | ▪ სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი; |

| | | |
|---|---|---|
| საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. | მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით. | ▪ საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები;<br>▪ სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია** | | |
| უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. | ▪ უსდ ხელს უწყობს ისეთ სამეცნიერო-კვლევით/კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს საკვლევ პრობლემასთან/შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, ხედვების, მიდგომებისა და პერსპექტივების ჩამოყალიბებას;<br>▪ უსდ-ს გააჩნია კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები;<br>▪ უსდ ხელს უწყობს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს/სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს სხვადასხვა წყაროდან მოიპოვონ დაფინანსება კვლევების ჩასატარებლად და კვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და უწევს კონსულტაციას სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებას, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით. უსდ ხელს უწყობს გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებას და ეხმარება ანგარიშების წარდგენის პროცესში;<br>▪ უსდ მუდმივად ზრუნავს კვლევებთან, განვითარებასთან და შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით საკუთარი მომსახურების ეფექტურობის ამაღლებაზე. | ▪ კვლევებთან, განვითარებასთან და შემოქმედებით საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია უსდ-ის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტ(ებ)ში;<br>▪ ბიუჯეტში გათვალისწინებული კვლევების, განვითარებისა და შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში;<br>▪ კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები;<br>▪ კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. | უსდ-ში მოქმედებს ახალგაზრდა კადრების კვლევაში/სახელოვნებო საქმიანობაში მოზიდვისა და მხარდაჭერის ეფექტური სისტემა, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების, პოსტდოქტორანტების ჩართვას კვლევითი/სახელოვნებო-შემოქმედებითი ინიციატივების ეფექტურ მხარდაჭერას, | ▪ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია;<br>▪ ახალგაზრდა მკვლევრების (მაგისტრანტები, დოქტორანტები, პოსტდოქტორანტები და |

| | | |
|---|---|---|
| | უნივერისტეტის სამეცნიერო/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში. | სხვა) ინიციატივები, რომლებიც მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე. | ▪ უსდ ახორციელებს ერთობლივ კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით პროექტებს/აქტივობებს უცხოელ პარტნიორებთან, მათ შორის, ჩართულია ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში, აქვს ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით/შემოქმედებით ცენტრებთან, ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო-შემოქმედებით აქტივობებში;<br>▪ უსდ ხელს უწყობს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებას; ასევე, უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების ერთობლივ თანახელმძღვანელობას. | ▪ ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო შემოქმედებითი აქტივობები საერთაშორისო პარტნიორებთან;<br>▪ ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან;<br>▪ პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო-შემოქმედებით აქტივობებში;<br>▪ ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ან მათ განსახორციელებლად პარტნიორების მოპოვების სამოქმედო გეგმა;<br>▪ უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის სტატისტიკა;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება** | | |
| უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა. | ▪ უსდ-ში რეგულარულად ხდება კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და ანალიზი;<br>▪ უსდ რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევების შესახებ;<br>▪ შეფასების შედეგები გამოიყენება უსდ-ის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის. | ▪ კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები;<br>▪ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის არსებობა;<br>▪ განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისწინებით);<br>▪ შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| | | |

## 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| აღწერილობა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
|---|---|---|
| **7.1. მატერიალური რესურსი** | | |
| უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. | ▪ დაწესებულების საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები) ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს და არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას;<br>▪ უსდ-ს აქვს: შენობაში შემდეგი სავალდებულო ფართები: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსო/სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორია/ები, სასწავლო კაბინეტები, არქივი. სათავსოების განლაგება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას;<br>▪ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მართლზომიერი მფლობელობა წარმოიშობა წერილობითი ფორმით დადებული გარიგებისა და უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. მართლზომიერი მფლობელობა უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით;<br>▪ დაწესებულებაში შენობის აზომვითი ნახაზის საფუძველზე უნდა გაიმიჯნოს სასწავლო და დამხმარე ფართი. სასწავლო ფართში ითვლება ის ფართი, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების | ▪ უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>▪ შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;<br>▪ მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამები და მათში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მისი შესაბამისობა მატერიალურ რესურსებთან;<br>▪ პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან დადებული ხელშეკრულება;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| | მიზნებისთვის, კერძოდ: სასწავლო აუდიტორია, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო, სადაც სტუდენტებს პროფესორები უწევენ კონსულტაციას, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა (გარდა წიგნსაცავისა) და სხვა ფართი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა ან შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ამ დაწესებულების რესურსების სათანადო გამოყენების პირობით, შესაბამისი მარაგები (რეაქტივები, სასწავლო მასალები და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;<br>▪ მოძრავ ნივთებზე მართლზომიერი მფლობელობის მოსაპოვებლად აუცილებელია მხარეებს შორის არსებობდეს გარიგება და ნივთი გადავიდეს შემძენის მფლობელობაში. ამ შემთხვევაში მფლობელობა დასტურდება შესაბამისი გარიგებით და ნივთის ფაქტობრივი ფლობითა და სარგებლობით;<br>▪ დაწესებულება ვალდებულია, სათანადო წერილობითი მტკიცებულებებით (წერილობითი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა, ბალანსზე ხანგრძლივი პერიოდით (მინიმუმ ავტორიზაციის მინიჭების ვადით) არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ზეპირად განხორციელებული ჩუქებისას მჩუქებლის წერილობითი დასტური და ა.შ.) დაადასტუროს მოძრავ ნივთებზე მფლობელობის/საკუთრების უფლება; | |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ან მოძრავი ქონების მფლობელობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავტორიზაციის მინიჭების ვადით;<br>▪ სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები. | |
| დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. | ▪ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარიული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარიულ კვანძებში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. სანიტარიულ კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით;<br>▪ ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, გარდა პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა;<br>▪ შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. | ▪ ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;<br>▪ გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ექსპლუატაციის ვადა;<br>▪ სანიტარიული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი. |
| დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. | ▪ დაწესებულებაში პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს:<br>○ დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები და არსებობს შესაბამისი ინვენტარი;<br>○ თვალსაჩინო ადგილას, შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი მისი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით და კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები;<br>○ შენობა-ნაგებობას გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელი/გასასვლელები, რომლის კარიც უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ და არ შეიძლება იყოს რკინის; | ▪ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;<br>▪ საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>▪ ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, უსაფრთხოების კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ წესრიგის უზრუნველყოფასა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;<br>▪ დასკვნები:<br>შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| | ○ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებას ჰყავს სამედიცინო პერსონალი ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პასუხისმგებელი პირი;<br>○ დაწესებულებას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ის უნდა ნიავდებოდეს ბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდებოდეს ცხელი და ცივი წყლით;<br>○ დაწესებულება შენობის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას;<br>○ დაწესებულებას დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი ჰყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებიც დროულად და ეფექტურად რეაგირებენ წესრიგის დარღვევებზე და უზრუნველყოფენ დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვას;<br>○ წესრიგის დაცვის მიზნით, დაწესებულებას შენობა-ნაგებობების მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები;<br>○ დაწესებულების შენობის მდებარეობა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის უსაფრთხო და სწავლისათვის შესაბამის გარემოს. | |

| | | |
|---|---|---|
| დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. | ▪ სპეციალური საჭიროების მქონე პირს შეუძლია შენობაში თავისუფლად ორიენტაცია და გადაადგილება (მათ შორის: პანდუსები, ლიფტი და სხვა);<br>▪ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს წვდომა აქვს პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე; ასევე წვდომა აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;<br>▪ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის არსებობს შესაბამისად მოწყობილი სანიტარიული კვანძი;<br>▪ შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა. | ▪ ადაპტირებული გარემო ან/და შემდგომი განვითარების გეგმა;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **7.2. საბიბლიოთეკო რესურსები** | | |
| ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. | ▪ ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე;<br>▪ დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, მათ შორის: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, გათვალისწინებული იყოს ასევე პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკაში ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა; | ▪ წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;<br>▪ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;<br>▪ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ ელექტრონული კატალოგი;<br>▪ ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა; |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ დაწესებულების ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო კვლევით საქმიანობის განხორციელებას;<br>▪ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში;<br>▪ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;<br>▪ სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;<br>▪ ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს (ბიბლიოთეკარი) საბიბლიოთეკო საქმეში გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, მათ შორის, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი კონსულტაციის გასაწევად;<br>▪ ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას (მაგ., საორიენტაციო შეხვედრები, კონსულტაციები და ა. შ.), ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში, მათ შორის გარე წყაროებიდან (სხვა ბიბლიოთეკები ან შესყიდვა), სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარებას;<br>▪ ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში არანაკლებ 6 დღე, 60 საათი;<br>▪ არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა;<br>▪ ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას; | ▪ ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;<br>▪ ჩატარებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები;<br>▪ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| | ▪ პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით უსდ მუდმივად ზრუნავს რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე. | |
| **7.3. საინფორმაციო რესურსი** | | |
| უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. | ▪ უსდ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ბიზნეს-პროცესებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას;<br>▪ საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვა მიმდინარეობს ადეკვატურად და ეფექტურად, უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა) და ხორციელდება საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობის შეფასება;<br>▪ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი), რომელიც გამიზნულია უსდ-ის სერვისებისათვის, მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. | ▪ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (საერთაშორისო სტანდარტის გამოყენების შემთხვევაში, სტანდარტის მითითება);<br>▪ ადმინისტრირების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების წესი;<br>▪ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;<br>▪ ინტერნეტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. | უსდ-ში დანერგილია ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები, რომლებითაც უზრუნველყოფილია მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობა, ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა. | ▪ დანერგილი ელექტრონული სერვისები;<br>▪ მართვის ელექტრონული სისტემები;<br>▪ ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე. | ▪ უსდ-ის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, უსდ-ის მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, | ▪ დომენი, ჰოსტინგი, სერტიფიკატი;<br>▪ უსდ-ის მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე;<br>▪ უსდ-ის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, ადმინისტრირების წესი და შესაბამისი სამუშაო აღწერილობა;<br>▪ ინფორმაციის მკაფიო, ზუსტი, სრული, ობიექტური, სტაბილური, განახლებული და |

| | | |
|---|---|---|
| | სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები; ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, ფინანსური ანგარიშგებები, მიმდინარე და განხორცილებული კვლევები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ხელმისაწვდომი სერვისები, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა;<br>▪ ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.<br>▪ უსდ-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სანდო და ვალიდურია. | ადვილი ხელმისაწვდომობა.<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **7.4. ფინანსური რესურსი** | | |
| უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. | უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, არსებობს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც რისკების მართვას უზრუნველყოფს ადეკვატურად და ეფექტურად. | ▪ დაფინანსების წყაროები;<br>▪ უსდ-ის ბიუჯეტი;<br>▪ დაგეგმილი ფინანსების დინამიკა წლების მიხედვით. |
| უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. | ▪ უსდ-ის ფინანსური რესურსი ადეკვატური და საკმარისია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები ეფექტურად შესრულდეს;<br>▪ ფინანსური ანგარიშებით დადასტურებულია ფინანსური ინფორმაციის უტყუარობა, სამართლიანობა და სისრულე. | უსდ-ის ბიუჯეტი, დაფინანსების დინამიკა, მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები, ადმინისტრაციული ხარჯების წილი საერთო ბიუჯეტში. |
| უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. | უსდ-ის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების/კვლევების/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის, ადამიანური რესურსების/ინფრასტრუქტურის მდგრადი და შემდგომი განვითარება. | ▪ დაფინანსების დინამიკა;<br>▪ თანაფარდობა ხარჯებს შორის. |

| | | |
|---|---|---|
| უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. | ▪ უსდ-ში სამეცნიერო კვლევების მუდმივად განხორცილებისათვის არსებობს შესაბამისი და საკმარისი ფინანსური რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის თანაბარ პირობებში;<br>▪ ბიუჯეტიდან უსდ-ს გამოყოფილი აქვს ადეკვატური ფინანსური სახსრები სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, პოსტდოქტორანტების ისეთი აქტივობების დასაფინანსებლად, როგორებიცაა: კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა, საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის პუბლიკაცია და სხვა;<br>▪ უსდ ითვალისწინებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასა და მუდმივი განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებს. | ▪ კვლევების განხორციელებასა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარებაზე გაწეული და დაგეგმილი ხარჯები;<br>▪ თანაფარდობა ხარჯებს შორის. |
| უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა. | ▪ უსდ-ში დანერგილია და ფუნქციონირებს მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილია დაწესებულების მიზნების მიღწევისას რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენება;<br>▪ უსდ უზრუნველყოფს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტის ჩატარებას, რომლის შედეგად შედგენილი დასკვნები  და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომია. | ▪ პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებებისა და ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა;<br>▪ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი;<br>▪ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი;<br>▪ უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები;<br>▪ ინფორმაციის საჯაროობა. |

დანართი №4

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 12.02.2020 წ.*

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი, 16.02.2024 წ.*

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

| პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები | | |
|---|---|---|
| კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება | | |
| კომპონენტი /კრიტერიუმი | ინდიკატორი | მტკიცებულებები |
| 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია | | |
| 1.1.1. პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში | 1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;<br>2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;<br>3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;<br>4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. | ▪ ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია,ხედვა, ღირებულებები;<br>▪ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტი;<br>▪ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება | | |
| 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა | 1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;<br>2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი | ▪ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგია;<br>▪ უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი), სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი);<br>▪ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების |

| | | |
|---|---|---|
| | პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;<br>3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. | პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;<br>▪ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 1.2.2. პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა | 1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;<br>2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;<br>3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. | ▪ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები და გეგმა;<br>▪ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;<br>▪ პსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები;<br>▪ შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები;<br>▪ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 2. საგანმანათლებლო პროგრამები | | |
| 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | |
| 2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად | 1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;<br>2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;<br>4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; | ▪ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა);<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);<br>▪ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;<br>▪ დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია |

| | | |
|---|---|---|
| | 5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;<br>6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.<br>7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;<br>8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. | საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;<br>▪ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | |
| 2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით | 1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;<br>2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;<br>3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;<br>4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია  დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.<br>5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული | ▪ პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;<br>▪ პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;<br>▪ დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;<br>▪ ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;<br>▪ პროგრამის ბიუჯეტი;<br>▪ განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| | საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტორნული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;<br>6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;<br>7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. | |
| **2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | | |
| 2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით | 1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.<br>2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. | ▪ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა);<br>▪ პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);<br>▪ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების ინიცირების წერილი;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;<br>▪ განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | | |
| 2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების | 1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;<br>2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის | ▪ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>▪ სასწავლო და კალენდარული გეგმები;<br>▪ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ |

| | | |
|---|---|---|
| მიღწევას | ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;<br>3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;<br>4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;<br>5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;<br>6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. | პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;<br>▪ ინდ. სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში);<br>▪ დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე/ შრომის ინსპექციის ვიზიტის შედეგები და სხვა);<br>▪ განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას | 1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;<br>2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;<br>3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;<br>4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. | ▪ სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;<br>▪ შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;<br>▪ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდების, უწყისები და მტკიცებულებები;<br>▪ კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;<br>▪ გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;<br>▪ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები | | |
| 3.1. პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | | |
| 3.1.1. პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები | 1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების | ▪ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;<br>▪ პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული |

| | | |
|---|---|---|
| დაცულია | უზრუნველყოფა;<br>2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;<br>3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;<br>4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;<br>5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | ხელშეკრულების ნიმუშები;<br>▪ ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა;<br>▪ ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **3.2. პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები** | | |
| 3.2.1. პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება | 1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;<br>2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;<br>3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;<br>4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;<br>5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. | ▪ ჩანაწერები, ოქმები და სხვა დოკუმენტები დაგეგმილი და/ან განხორციელებული საკონსულტაციო, მხარდამჭერი მომსახურების შესახებ;<br>▪ პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები;<br>▪ ჩანაწერები, ანგარიშები და სხვა დოკუმენტები განხორციელებული და/ან დაგეგმილი (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი) სტუდენტური ინიციატივების/აქტივობების/პროექტების და სხვ. შესახებ<br>▪ პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 3.2.2. პსდ-ში ფუნქციონირებს | 1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური | ▪ პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/განხორციელებული |

| | | |
|---|---|---|
| კარიერული მხარდაჭერის მომსახურება | პროფესიული სტუდენტებისთვის;<br>2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;<br>3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით<br>4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს | ღონისძიებები;<br>▪ პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;<br>▪ კვლევის შედეგების ანალიზი;<br>▪ ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია;<br>▪ პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 4.ადამიანური რესურსები | | |
| 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა | | |
| 4.1.1. პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას | 1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;<br>2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;<br>3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. | ▪ პსდ-ს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.<br>▪ წესდება, დებულება;<br>▪ პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;<br>▪ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;<br>▪ ხარისხის უხრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, ხარისხის უხრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უხრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები. |
| 4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას | 1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.<br>2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;<br>3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; | ▪ პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები,<br>▪ დანიშვნის აქტი/ შრომითი ხელშეკრულებები/ მომსახურეობის ხელშეკრულებები;<br>▪ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები (მათ შორის პერსონალის მოზიდვის, შერჩევა/დანიშვნის პროცედურები);<br>▪ პერსონალის მართვის პოლიტიკის და რეგულაციების ხელმისაწვდომობა და მათ შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება;<br>▪ ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ |

| | | |
|---|---|---|
| | 4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. | cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;<br>▪ შინაგანაწესი;<br>▪ პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან/პირებთან ინტერვიუს შედეგები. |
| 4.2. პერსონალის განვითარება | | |
| 4.2.1. პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე | 1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;<br>2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;<br>3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;<br>4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;<br>5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. | ▪ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები;<br>▪ პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები;<br>▪ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები;<br>▪ პერსონალის, მათ შორის მასწავლებლების განვითარების გეგმა/გეგმები;<br>▪ პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;<br>▪ განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა;<br>▪ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი;<br>▪ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები. |
| 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | | |
| 5.1. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | |

| | | |
|---|---|---|
| 5.1.1. პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას | 1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;<br>2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;<br>3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;<br>4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;<br>5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოების უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;<br>8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;<br>9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;<br>10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს | ▪ უძრავი ქონების საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;<br>▪ მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>▪ დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;<br>▪ სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;<br>▪ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია;<br>▪ ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია;<br>▪ ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>▪ დაწესებულების მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა;<br>▪ შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის;<br>▪ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;<br>▪ სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, |

| | | |
|---|---|---|
| | საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;<br>11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. | ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;<br>▪ პსდ-ს მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;<br>▪ სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>▪ პროფესიულ სტუდენტებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| 5.1.2. პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება | 1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;<br>2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;<br>3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;<br>4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. | ▪ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი;<br>▪ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;<br>▪ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;<br>▪ კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;<br>▪ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;<br>▪ დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში- გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;<br>▪ ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/ ორგანიზაციასთან;<br>▪ შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი. |
| **5.2.საინფორმაციო რესურსები** | | |
| 5.2.1. პსდ-ს | 1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების | ▪ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის |

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას | ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;<br>2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;<br>3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;<br>4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;<br>5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;<br>6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. | პროცედურები;<br>▪ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);<br>▪ IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;<br>▪ ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>▪ უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;<br>▪ დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;<br>▪ ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;<br>▪ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;<br>▪ პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი. |
| 5.2.2. პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად | 1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;<br>2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;<br>3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;<br>4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. | ▪ პსდ-ს საქმისწარმოების წესი;<br>▪ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;<br>▪ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);<br>▪ მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები და სხვ.; |
| 5.2.3. პსდ | | ▪ საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი; |

| | | |
|---|---|---|
| მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას | 1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;<br>2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;<br>3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;<br>4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;<br>5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;<br>6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | ▪ დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;<br>▪ პსდ-ს მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში, იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას);<br>▪ ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;<br>▪ ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;<br>▪ ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;<br>▪ ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით). |
| 5.3. ფინანსური რესურსები | | |
| 5.3.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია | 1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;<br>2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;<br>3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას; | ▪ მაძიებლის თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;<br>▪ დაფინანსების დინამიკა;<br>▪ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;<br>▪ ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის |

| | | |
|---|---|---|
| | 4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. | ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;<br>▪ პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები. |

*დანართი N5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები**

| სტანდარტი 1. სკოლის ფილოსოფია | |
|---|---|
| კომპონენტი/კრიტერიუმი | ინდიკატორი |
| **1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები** | |
| 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში | • სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;<br>• სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;<br>• სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;<br>• სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;<br>• სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;<br>• სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. |
| **1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება** | |
| 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა | • სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;<br>• სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;<br>• სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; |

| | |
|---|---|
| | • სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. |
| 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა | • სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს  მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;<br>• მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;<br>• სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;<br>• სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. |
| 2. სასკოლო კურიკულუმი | |
| 2.1. კურიკულუმის შემუშავება | |
| 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება | • კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;<br>• კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;<br>• კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;<br>• კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. |
| 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს | • შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;<br>• კურიკულუმი  მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ  მიზნებს; |

| | |
|---|---|
| | • კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;<br>• სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;<br>• მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. |
| **2.2. კურიკულუმის განხორციელება** | |
| 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბისად | • სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;<br>• სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;<br>• შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;<br>• სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;<br>• სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. |
| 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით | • კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;<br>• სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;<br>• კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; |

| | |
|---|---|
| | მცირეკონტიგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.<br><br>ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.<br><br>• სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. |
| **2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება** | |
| 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს | • მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;<br>• მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;<br>• მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. |
| 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს | • შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;<br>• შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;<br>• შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;<br>• შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. |
| **2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია** | |
| 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია | • იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; |

| | |
|---|---|
| | • კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. |
| **3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | |
| **3.1. პერსონალის მართვა** | |
| 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას | • სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;<br>• სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. |
| 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას | • პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;<br>• სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;<br>• პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;<br>• პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;<br>• პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;<br>• სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. |
| **3.2. პერსონალის განვითარება** | |
| 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე | • სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;<br>• პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; |

| | |
|---|---|
| | • სკოლა ხელს უწყობს პერსონალის  კარიერულ ზრდას;<br>• სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;<br>• წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. |
| **3.3. პროცესების მართვა** | |
| 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად | • სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;<br>• იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;<br>• სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;<br>• სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. |
| 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა | • სკოლას აქვს  მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;<br>• უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. |
| **3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება** | |
| 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა | • სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ  უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - |

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);<br>• სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;<br>• სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;<br>• სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;<br>• სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;<br>• სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;<br>• სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;<br>• სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. |
| **3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა** | |
| 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას | • სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;<br>• დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;<br>• სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;<br>• სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;<br>• სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. |
| **3.6. საინფორმაციო რესურსები** | |

| | |
|---|---|
| 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას | • ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. |
| 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად | • სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;<br>• სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;<br>• სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;<br>• სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. |
| 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას | • სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა / ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;<br>• სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;<br>• საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;<br>• სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი / ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;<br>• ვებ გვერდი / ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. |

| | |
|---|---|
| **3.7. ფინანსური რესურსები** | |
| 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია | • სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;<br>• სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. |
| **4. მოსწავლეთა მხარდაჭერა** | |
| **4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა** | |
| 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია | • სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;<br>• მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;<br>• მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. |
| 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები | • სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;<br>• სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;<br>• სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;<br>• სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. |

| **4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები** | |
|---|---|
| 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება | • სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;<br>• სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;<br>• მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;<br>• სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;<br>• სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;<br>• მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. |
| 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება | • კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;<br>• სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;<br>• სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. |
| 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას | • სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;<br>• სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. |

| | |
|---|---|
| 4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.<br><br>აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი | • სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);<br><br>• სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;<br><br>• შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. |

დანართი

| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** | **მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** | **ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** | **არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |
| **1. სკოლის ფილოსოფია** | | | | |
| 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | სრული | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება | მეტწილი | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| **2. სასკოლო კურიკულუმი** | | | | |
| 2.1. კურიკულუმის შემუშავება | სრული | მეტწილი | მეტწილი | |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | სრული | მეტწილი | მეტწილი | |
| 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | მეტწილი | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | სრული | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| **3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | | | | |
| 3.1. პერსონალის მართვა | სრული | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| 3.2. პერსონალის განვითარება | მეტწილი | მეტწილი | მეტწილი | |
| 3.3. პროცესების მართვა | სრული | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | სრული | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | სრული | მეტწილი | ნაწილობრივი | |
| 3.6. საინფორმაციო რესურსები | სრული | მეტწილი | მეტწილი | |
| 3.7. ფინანსური რესურსები | სრული | მეტწილი | მეტწილი | |
| **4. მოსწავლეთა მხარდაჭერა** | | | | |
| 4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა | სრული | მეტწილი | მეტწილი | |
| 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | მეტწილი | მეტწილი | ნაწილობრივი | |